საერთო გაზეთი

№32 (443) • 6 სექტემბერი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

რა არ შეუძლია ბიძინას და რა შეუძლია მიშას?



ომი ცეცხლთან, რომელიც საქართველომ მოიგო

თაობათა სასაკლაო

„სულ ახლახან აშშ-ის პრეზიდენტად 70 წლის ტრამპი აირჩიეს, რომელსაც კონკურენციას 66 წლის ჰილარი კლინტონი უწევდა. დღევანდელ სიტუაციაში საქართველოში მსგავსი რამ წარმოუდგენელია რომ მოხდეს.“

ეს სამეგრელოსა და მთლიანად ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული დივერსიაა!

ბოსელს რომ ჰოსტელად გადააკეთებ, ამით ეკონომიკა არ განვითარდება

ომი თუ მშვიდობა?

2017 წლის აგვისტოდან საქართველო ახალ ომშია ჩაბმული.

ეს არის ომი ცეცხლთან, რომელიც ერთიმეორის მოყოლებით ჩნდება სხვადასხვა რეგიონში და ყველა კუთხიდან უტევს ქვეყანას.

რა მასშტაბების იყო ეს ომი, ამაზე თუნდაც ის ჩამონათვალი მეტყველებს, სადაც ნათლად ჩანს, სად და როდის ჩნდებოდა ცეცხლის კერები.

ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა, მაგრამ უკვე ცხადია, რომ ამ ომში საქართველო იმარჯვებს. ეს გამარჯვება კი თავისით არ მოსულა, ის დიდი თავდადების და თავგანწირვის შედეგად დაიბადა.

ომი ცეცხლთან, რომელიც საქართველომ მოიგო

რამდენიც არ უნდა იძახონ ნაცებმა და სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება უნიათო და უსუსურიაო, აგვისტოს ამ საგანგაშო და საბედისწერო დღეებმა გვაჩვენა, რომ ყველაფერი პირიქითაა — საქართველოს ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია კრიზისულ სიტუაციაში იმოქმედოს ოპერატიულად, ეფექტურად, ორგანიზებულად. მოახდინოს ყველა საჭირო ძალის მობილიზება და ერთი მიზნით შეკვრა.

ჩვენ ვაკვირდებოდით პრემიერ-მინისტრის, სახელმწიფო სტრუქტურების სხვა ხელმძღვანელების განცხადებებს, სატელევიზიო ჩართვებს და კომენტარებს და ამ დაკვირვებისას ერთ სასიამოვნო და მისასალმებელ დასკვნამდე მივედით — როგორც პრემიერ-მინისტრი, ასევე ხელისუფლების სხვა წევრები, მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე ლაპარაკობენ ლაკონურად, სადად, მოკრძალებულად.

ისინი არ თამაშობდნენ გმირობანას, არ ცდილობდნენ თავიანთი ქმედებები, პიარისთვის გამოეყენებინათ და მოსახლეობის წინაშე თავი მოეწონებინათ — შემოგვხედეთ, რა მაგრები ვართ, შემოგვხედეთ, როგორი თავდადებით ვებრძვით სტიქიასო.

ისინი აკეთებდნენ საქმეს, აკეთებდნენ ჩუმად, ზედმეტი ხმაურისა და პათეტიკის გარეშე.

მათ ადგილას ნაციონალები რომ ყოფილიყვნენ, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი გმირულ-ჰეროიკული სიტყვების რახარუხი, როგორი პატრიოტული ყიჟინა და გნიასი იქნებოდა ქვეყანაში.

აი, ეს განსხვავებაა „ნაცმოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის.

ნაციონალები მოსახლეობას „ეკაჩავებოდნენ“, „ქართული ოცნება“ ისე აკეთებს ძალიან დიდ და მნიშვნელოვან საქმეებს, რომ ამ საქმეების შესახებ ხანდახან არც ლაპარაკობს.

მადლობა მათ ამისთვის და მათთან ერთად მადლობა ყველა მფრინავს, ყველა მეხანძრეს და მაშველს, ყველა ჯარისკაცს, ყველა იმ მოქალაქეს, რომლებმაც მართლაც უდიდესი გმირობა გამოიჩინეს და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ამ ომიდან საქართველო გამარჯვებული გამოსულიყო.

გამოძიება გაარკვევს, შემთხვევით ჩნდებოდა ეს ცეცხლის კერები, თითქმის ერთდროულად ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში თუ ეს იყო კარგად დაგეგმილი დივერსია?

დროთა განმავლობაში, ალბათ, ისიც გაირკვევა, თუ ეს იყო დივერსია, ვინ იყო ამ დივერსიის ორგანიზატორი.

მანამდე კი ერთ უცნაურ ამბავზე გვინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ.

აგვისტოს მოვლენებამდე რამდენიმე ხნით ადრე სოციალურ ქსელში გაჩნდა პოსტები, რომლის ავტორებიც იუწყებოდნენ, რომ ხელისუფლებას ძალიან ცხელი აგვისტო ელოდებოდა.

ამ პოსტების ავტორებიდან ზოგი ცნობილი „წინასწარმეტყველია“, ზოგი დამწყები, თუმცა მათ აერთიანებთ ერთი რამ — „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა.

უსაბუთოდ და უარგუმენტოდ ვინმესთვის ხელის დადებას არ ვაპირებთ, თუმცა ამ „წინასწარმეტყველებს“, იმედია, სათანადოდ დაკითხავენ იქ, სადაც ჯერ არს და მათი ხილვებისა და მოჩვენებების წარმოშობის შესახებ ინფორმაციებსაც მოსთხოვენ.

ამ „წინასწარმეტყველებმა“, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მისმა განაყოფებმა დიდი ხმაური ატეხეს: როგორ გაბედა საქართველოს მთავრობამ და რუსეთს დახმარება როგორ სთხოვაო?!

ამ ამბავმა „კავკასიური ცარცის წრე“ გამახსენა, როცა მოსამართლე აზდაკი ცდილობს დაადგინოს, ვინ არის პატარა მიშიკოს ნამდვილი დედა.

— შუაზე ხომ არ გავხლეჩ ბავშვს, — ამოიქვითინებს ნამდვილი დედა და ბავშვს ხელს შეუშვებს.

აი, ეს ფსევდოპატრიოტები, ეს ძალადმაცხონეები, ეს ქვეყნის მავნებლები თურმე იმაზეც კი არიან თანახმა, თუნდაც მთელი საქართველო გადაიწვას და გადაიბუგოს, ოღონდ აქედან რაღაც პოლიტიკური სარგებელი ნახონ.

თქვე დემაგოგო პოლიტაფერისტებო, რა შუაშია ვიღაცის ოკუპანტობაზე საუბარი იმ დროს, როცა ქვეყანას ცეცხლი უკიდია? შენი ქვეყანა არ უნდა გეცოდებოდეს, არ უნდა გენანებოდეს, არ უნდა გებრალებოდეს და ცეცხლში ჩასანთქმელად უნდა იმეტებდე?

ამ თქვენი განცხადებებით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ არ გიყვართ თქვენ ეს ქვეყანა, არ გტკივათ თქვენ ეს ქვეყანა, ის არ არის თქვენთვის სამშობლო, ის მხოლოდ თქვენი პოლიტიკური ამბიციებისა და თქვენი ავადმყოფურ-მანიაკალური მისწრაფებების განხორციელების პოლიგონია და მეტი არაფერი.

გიორგი კვირიკაშვილმა, მისთვის ჩვეული სიდინჯით, ღირსეული პასუხი გასცა პოლიტსპეკულანტებს: „უამრავი სპეკულაცია მოვისმინეთ რუსეთის შესაძლო ჩართულობასთან დაკავშირებით. არ მინდა მწვავე გამოთქმები ვიხმარო, მაგრამ სამარცხვინოა ის, რაც მე მოვისმინე.

მე როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, არ მაქვს უფლება რეზერვში არ მქონდეს ყველა შესაძლო საშუალება.

მთავრობას გააჩნია გაცილებით დიდი პასუხისმგებლობა თითოეული ჩვენი მოქალაქის, მისი სიცოცხლის, ქონების დაცვის კუთხით და, რა თქმა უნდა, ჩვენ ღირსეულად მოვიქცევით ყველა ასეთ შემთხვევაში და არაფერი თავის სამართლებელი მოსახლეობასთან არ გვაქვს“.

გიორგი კვირიკაშვილს და მთლიანად მთავრობას, ამ შემთხვევაში, მართლაც არაფერი აქვთ თავის სამართლებელი ვინმეს წინაშე. მათ გააკეთეს შესაძლებლობის მაქსიმუმი, რომ ქვეყანა დიდი ტრაგედიისაგან ეხსნათ.

ვახტანგ ხარჩილავა,
„საერთო გაზეთის“
მთავარი რედაქტორი

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თამარ დადიანი:

ეს სამეგრელოსა და მთლიანად ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული დივერსია და გამოუცხადებელი ომია!

ბოლო დროს სულ უფრო ხშირად მოისმენთ, რომ საქართველოს დასახლებულ თუ დაუსახლებელ ტერიტორიებზე გაჩაღებული ხანძრების უწყვეტი სერია და დასავლეთ საქართველოში მავნებელი მწერების შემოსევა ბუნების ჭირვეულობა არ გახლავთ და ქვეყნის წინააღმდეგ კარგად დაგეგმილი და ორგანიზებული შეთქმულების ნაწილია — გამოუცხადებელი ომის ქრონიკა, რომელიც ქვეყანას ეკოლოგიური და სასურსათო კატასტროფით ემუქრება.

თუ თხილის მსოფლიო ბაზარს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ საქართველო თხილის უმსხვილეს მწარმოებელ ქვეყანათა ხუთეულშია. რაც შეეხება ექსპორტს, გასული წლების მონაცემებით, საქართველო თურქეთის შემდეგ, რეიტინგით მსოფლიოში თხილის მეორე ექსპორტიორი ქვეყანაა და სასოფლო სამეურნეო პროდუქციიდან ევროკავშირის ქვეყნებში ყველაზე მეტი თხილი გადის. ექსპერტები და სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ თხილის წარმოებისა და ექსპორტის კუთხით, საქართველოს მსოფლიო ბაზარზე მზარდი პერსპექტივები აქვს. სწორედ ამ პროგნოზებს და ქართული თხილის გაზრდილ პოპულარობას უკავშირებენ სამეგრელოს მაცხოვრებლები მათ რეგიონში მავნებლის გამოჩენას.

რა კავშირია აზიური ფაროსანას შემოსევასა და თხილის ბიზნესს შორის? ამაზე „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირის“ ლიდერი თამარ დადიანი გვესაუბრა:

— ძალიან მიჭირს, რომ ხანძრების უწყვეტელი სერია და დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში მავნებელი მწერების შემოსევა შემთხვევითობას ან ბუნების ჭირვეულობას დავაბრალო. მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ ეს სამეგრელოსა და მთლიანად ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებული დივერსია და გამოუცხადებელი ომია, რომელიც ეკონომიკის განადგურებით და მოსახლეობის დამშევით გვემუქრება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული თხილი თავისი ხარისხისა და გემოვნური თვისებების დამსახურებით, მთელ მსოფლიოში უდიდესი მოთხოვნით სარგებლობდა. აქედან გამომდინარე, თხილის პლანტაციების გაშენება რეგიონისთვის წარმატებულ ბიზნესად იქცა. სამეგრელოში, რომელიც 90-იანი წლებიდან მოყოლებული რამდენჯერმე გაძარცვეს და ააწიოკეს, მოსახლეობას ძალიან უჭირს. თხილის ბიზნესმა ხალხს ცოტა სული მოათქმევინა.. ხალხმა ბანკის კრედიტებით მიწის ფართები იჯარით აიღო, თხილი მოაშენა და შემოსავალი გაუჩნდა. პრობლემები შარშან დაიწყო, როცა რომელიღაც გაურკვეველმა კომპანიამ ვითომ უკეთესი მოსავალის მიღების მიზნით, სამეგრელოში სასუქი შემოიტანა და სარეალიზაციოდ სპეციალური აგრომაღაზიებიც კი გახსნა. მოსახლეობამ სასუქი გამოიყენა, მაგრამ მოსავლის აღების დროს, აღმოაჩინა, რომ თხილი გაფუჭებული იყო.

— რატომ ფიქრობთ რომ თხილის გაფუჭება დაუდგენელი კომპანიის მიერ შემოტანილ სასუქის ბრალია?

— იმიტომ, რომ წელსაც იგივე და უფრო უარესი მოხდა. როგორცგითხარით, მოსახლეობამ სერიოზული ზარალი ჯერ კიდევ შარშან ნახა, მაგრამ სასუქისთვის არავის დაუბრალებია. როცა წელსაც იგივე სასუქი დააყარეს და უარესი შედეგი მიიღეს, სხვა რა უნდა იფიქრონ? მთლიანად განადგურებულია მოსავალი სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ზუგდიდის რაიონებში. ხალხი ისეთ მდგომარეობაშია, რომ თხილის ბუჩქებს დასტირიან..

— იმასაც ამბობენ, რომ მავნებელი იტალიელების თხილის პლანტაციებს გვერდს უვლის და მხოლოდ ადგილობრივების ნარგავებს ანადგურებს.

— იტალიელებს სამეგრელოში თხილის პლანტაციები შევარდნაძის დროიდან მოყოლებული აქვთ და ადგილობრივ სასუქს არ იყენებენ, ამიტომ მათ ნაკვეთებს არაფერი ემუქრება. მე ფაროსანას მომრავლებას და მოსავლის განადგურებას მაინც სასუქით მოწამლულ ნიადაგს ვუკავშირებ. მავნებელი ადრეც ყოფილა, მაგრამ ასეთი კატასტროფული შედეგები არ გვქონია. თუ გახსოვთ, სააკაშვილის დროს, სამეგრელოს მოსახლეობას ძალით დაათესინეს ე.წ. ჰიბრიდული სიმინდი. ისიც გემახსოვრებათ, რომ ამ სიმინდის წყალობით, ხალხი ვალებში გადავარდა და ბევრმა სახლ-კარი დაკარგა, მაგრამ ყველაზე ცუდი ისაა, რომ ამ სიმინდმა მიწაც უვარგისი გახადა. იმ დროიდან მოყოლებული, სამეგრელოში დივერსიული ქმედებები გრძელდება და ბოლო არ უჩანს. მარტო ფაროსანა კი არა, წლებია, რეგიონში ამერიკული პეპლის პრობლემა დგას, რომელიც ხეს ფაქტობრივად, ფოთლის გარეშე ტოვებს. მე ხანძრების ციკლს და სამეგრელოში მავნებლების შემოსევას ერთმანეთთან ვაკავშირებ და საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული, გამოუცხადებელი ომის ნაწილად აღვიქვამ. ომისა, რომლის მიზანია მოსახლეობის გაღატაკება და ქვეყნიდან გადინება. ადამიანებს სხვა გზა უბრალოდ, აღარ რჩებათ. მათი ერთადერთი შემოსავლის წყარო თხილი იყო, რომელიც უკვე აღარ არსებობს და სიმინდიც ყანებიც განადგურებულია. მთავრობამ და ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ხალხი რეალურად შიმშილის საფრთხის წინაშე დგას და დაზარალებული ადამიანებისთვის კომპენსაციის გაცემაზე იფიქროს, თორემ მდგომარეობა ძალიან მძიმეა.

„საერთო გაზეთი“ ზუგდიდის რაიონის სოფელი კოკის მაცხოვრებელს ია შენგელიას ესაუბრა:

— ზუგდიდში საშინელი მდგომარეობაა. მთელი რაიონი თხილის მოსავალზე იყო დამოკიდებული და ამ დროს, ათიდან ერთი მარცვალიც კი არაა საღი. თხილს გული საერთოდ არა აქვს. მავნებელი თხილიდან უკვე სიმინდზე და სხვა კულტურებზე გადავიდა და ყველაფერი გაანადგურა. ამასაც არ ჯერდებიან, უკვე ფანჯრებიდან შემოდიან და სახლებში დახოხავენ. ყველა „სიკეთესთან“ ერთად, ამ ხოჭოს საშინელი სუნი აქვს და სახლში გაჩერებაც გაუსაძლისი ხდება.

— პირველად როდის შენიშნეთ აზიური ფაროსანას გამოჩენა?

— როგორც კი თხილმა მოისხა, ხოჭოც გამოჩნდა. მერე თანდათან იმატა და იმატა. რაიონში ყველა დარწმუნებულია, რომ ეს არის შეგნებულად გაკეთებული ბოროტება. ხალხი თხილის ნარგავებს პატარა ბავშვივით ეფერებოდა და უვლიდა და წარმოიდგინეთ, ახლა რა მდგომარეობაში არიან. მე 5000 კვადრატული მიწის ნაკვეთი მაქვს და დაახლოებით, 700 კილოგრამი თხილის იმედი მქონდა, მაგრამ ხალხს უზარმაზარი ნაკვეთები აქვს და ტონობით მოსავალს ელოდა. ჩემმა ბიძაშვილმა თხილის ნაკვეთი ბანკიდან აღებული სესხით იყიდა, ჩემმა მეზობელმა ბანკის სესხით თხილის გადასამუშავებელი ქარხანა ააშენა, ზოგმა ბინები გაყიდა, რომ ნაკვეთები და თხილის ნერგები ეყიდათ და დღეს ყველა საშინელ მდგომარეობაშია.

სენაკის რაიონის სოფელი ეკის მაცხოვრებელი მურმან ხუბულავა:

— ეჭვებითა და ვარაუდებით რამის მტკიცება ძნელია, თუმცა ფაქტია, რომ წინა წლებში ასეთი მდგომარეობა არ გვქონდა. აზიური ფაროსანა ადრეც გვინახავს, მაგრამ ახლა გაცილებით ბევრი და აგრესიულია და მარტო თხილს კი არა, ყველა სახის ხილს და ბოსტნეულს ანადგურებს.უბედურება ისაა, რომ მხოლოდ ნაყოფი კი არა, მთლიანად მცენარეა დაზიანებული. ჯანსაღი თხილის ტოტი დრეკადია და როგორც არ უნდა მოზიდოთ, არ ტყდება. ახლა უბრალოდ, ხელი რომ ახლოთ, გადატყდება და ღეროს შიგნით, რაღაც მოწითალო ფერის მატლს დაინახავთ, რომელიც მცენარეს შიგნიდან ჭამს. ძალიან მინდა, რომ ჩემი ვარაუდი არ გამართლდეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ სამეგრელოში თხილის კულტურას ძირფესვიანად ემუქრება გადაშენება. არა მარტო თხილი, ხილის

და ბოსტნეულის ყველა სახეობა განადგურებულია. ერთადერთი, რასაც ხოჭო არ ეკარება, სალათის ფოთლებია. სიმინდის ღერი რომ შეაქანავოთ, ტაროები ჩამოცვივდება. საქმე ისე მიდის, რომ გლეხს საქონლისთვის ჩალაც კი აღარ ექნება. მერწმუნეთ, აქ უკვე უმძიმესი მდგომარეობაა. ყველა იმაზე ფიქრობს, სად წავიდეს ან შვილი სად გაუშვას, რომ თავი გადაირჩინოს.

— მომხდარის მიზეზებზე რას გვეტყვით ბატონო მურმან?

— ეს უფრო რაღაც ვირუსივით გაშვებული მგონია იმ სახელმწიფოს მხრიდან, რომლის პროდუქციასაც კონკურენციას ვუწევდით. თუმცა, ახლა მომხდარის მიზეზებზე მეტად, მდგომარეობიდან გამოსვლის გზებზე უნდა ვიფიქროთ. პრობლემის მოგვარებაში თუ მთავრობა არ ჩაერია, მარტო გლეხი ვერაფერს გააწყობს. აგრონომი არ ვარ, მაგრამ ვიცი, რომ კოლხური თხილი, ხილი და ბოსტნეული თავისი უნიკალური თვისებებით მსოფლიოში გამოირჩევა და ამის განადგურების უფლება არავის უნდა მივცეთ.

რამდენიმე დღის წინ, სოფლის მეურნეობის მინისტრი სამეგრელოში აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მიმდინარეობას გაეცნო. ლევან დავითაშვილმა რეგიონში შექმნილი ვითარების შესახებ ინფორმაცია ფერმერებისგან მოისმინა და თხილის გადამამუშავებელი საწარმოები მოინახულა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, მავნებელთან ბრძოლის პირველ ეტაპზე თხილის პლანტაციების შეწამვლა მიმდინარეობს ზუგდიდის, სამტრედიის, აბაშის, ხობის, მარტვილის, სენაკის, ლანჩხუთის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების სოფლებში. ზუგდიდში, სურსათის ეროვნული სააგენტოს შენობაში შექმნილია მავნებელთან ბრძოლის დროებითი შტაბი. როგორც რეგიონის მაცხოვრებლები ამბობენ, წლევანდელი მოსავლის გადარჩენა უკვე შეუძლებელია, თუმცა რამდენად ეფექტური და საკმარისია მთავრობის მიერ აზიურ ფაროსანასთან ბრძოლისთვის მეთიდები, მომავალი წლის მოსავალი გვაჩვენებს.

ნელი თორდია
571 35 36 88

ვახტანგ ხარჩილავა:

თაობათა სასაკლაო

როცა ოცი წლის ხარ, გგონია, რომ ორმოცდაათი წლის კაცი უკვე მოხუცია, სამოცი წლისა კი ძალიან, ძალიან ბებერი.

ახალგაზრდული ასაკის სენია ეს, თუმცა ეს სენი დროთა განმავლობაში, წლების მატებასთან ერთად, ნელ-ნელა იკურნება.

დიახ, ახალგაზრდობა განკურნებადია, ისე, როგორც განკურნებადია ახალგაზრდობის წლებთან დაკავშირებული სხვა გვერდითი მოვლენები და სიმპტომები – მაქსიმალიზმი, ზედმეტი წარმოდგენა საკუთარ თავზე და საკუთარ შესაძლებლობებზე, წინა თაობათა ნაღვაწისადმი ქედმაღლური, აბუჩად ამგდები დამოკიდებულება, ილუზია იმისა, რომ შეგიძლია სამყაროს გარდაქმნა და გადაკეთება.



ჩვენ, უფროსი ასაკის ადამიანები, დროის მიერ განკურნებული ყოფილი ახალგაზრდები ვართ, რომლებმაც საკუთარ ტყავზე გამოვცადეთ ყველა ის ავადმყოფობა, რომლებიც ახალგაზრდულ ასაკთან არის დაკავშირებული.

ამიტომაც ვიცით ზედმიწევნით კარგად, დიდ ბედნიერებასთან და დიდ სიკეთეებთან ერთად როგორი ხიფათის და როგორი სერიოზული შეცდომების შემცველია ახალგაზრდული წლები, ჯერ კიდევ დაუღვინებელი ახალგაზრდული ენერგია და ის ეიფორიულ-მირაჟული შემართება, რომლითაც ახალგაზრდა კაცი ცხოვრებასთან შეჭიდებას და მასზე გამარჯვებას ცდილობს.

როგორც დასაწყისში ვთქვი, როცა ოცი წლის ხარ და როცა ვარდისფერი სიზმრებით და ვარდისფერი ხილვებით ხარ გაბრუებული, სამყაროს სხვანაირად უყურებ და 50 თუ 60 წლის ადამიანები უკვე ჩამოსაწერად გამზადებული ბალასტი გგონია.

სამწუხაროდ და საუბედუროდ, ზუსტად ასე ფიქრობს დამოუკიდებელი და სუვერენული ქართული სახელმწიფო, რომელიც უკვე 27 წლისაა, მაგრამ მაინც 20 წლის ყმაწვილივით აზროვნებს და საშუალო და უფროსი თაობის ადამიანებს მიზანმიმართულად აძევებს ასპარეზიდან.

იმას, რაც საქართველოში დიდი ხანია ხდება, თამამად შეიძლება ვუწოდოთ დისკრიმინაცია ასაკობრივი ნიშნით, რაც, წესით და რიგით, ისევე მიუღებელი და დაუშვებელი უნდა იყოს, როგორც დისკრიმინაცია რელიგიური აღმსარებლობისა თუ ეთნიკური წარმოშობის ნიშნით, თუმცა ამ თემაზე, ფაქტობრივად, არავინ საუბრობს, თითქოსდა ეს პრობლემა საერთოდ არ არსებობდეს.

არადა, როგორ არ არსებობს, როდესაც ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოველი ფეხის ნაბიჯზე აწყდებიან ამ უმწვავეს პრობლემას, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მათთვის.

სამუშაოს მაძიებელთა მრავალრიცხოვანი არმიის წარმომადგენლები მუდმივად აწყდებიან ერთსა და იმავე ბარიერს, რომ სამუშაოზე მიიღებიან მხოლოდ 35 წლამდე, უკიდურეს შემთხვევაში, 40 წლამდე ასაკის მოქალაქეები.

სამუშაოზე მიღების მოთხოვნებსა და პირობებში სიტყვა არ არის დაძრული კვალიფიკაციზე, ცენზზე, სამუშაო გამოცდილებაზე, იქ საუბარია მხოლოდ და მხოლოდ ასაკობრივ ზღვარზე, რომლის გადალახვის შემდეგ, ფაქტობრივად, ჩაკეტილია ყველანაირი პერსპექტივა ნებისმიერი სამუშაოს შოვნისა.

დამლაგებელი რომ დამლაგებელია, შეიძლება დამლაგებლად, გნებავთ, ჭურჭლის მრეცხავადაც არ მიგიღონ, თუ 35–40 წელს ხარ გადაცილებული.

მარკეტში გამყიდველის ან რესტორანსა თუ კაფეში ოფიციანტად მუშაობაზე ხომ საერთოდ ზედმეტია ოცნება.

გამოდის, რომ ქართულ რეალობაში ადამიანები 40 წლამდე „ცოცხლობენ“, 40 წლიდან კი საპენსიო ასაკამდე შუალედი, ეს არის სრული უპერსპექტივობის და უიმედობის ზონა.

არ ვიცი, არსებობს თუ არა ზუსტი სტატისტიკა, მაგრამ ვარაუდის დონეზე, დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი სწორედ 35 წლის შემდეგ ტოვებს საქართველოს და ბედის საძიებლად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იფანტება.

35–40 წელი – ეს არის წითელი ხაზი, რომლის გადაკვეთის შემდეგ საკუთარ სამშობლოში, ფაქტობრივად, ჩამოსაწერად ხარ გამზადებული, როგორც ზედმეტი ბარგი, როგორც ამორტიზებული და გაცვეთილი ჭანჭიკი.

არადა, 35–40 წელის ცხოვრების მხოლოდ შუა გზაა, თუმცა რაღაც უჩინარი ძალა შუა გზაზე გაჩერებს და წინ წასვლის საშუალებას არ გაძლევს.

რატომ ხდება ასე? რა ძალაა ეს უჩინარი ძალა, ვინ დააწესა ამგვარი დისკრიმინაციული ასაკობრივი ცენზი, რომელიც ქვეყნის წინსვლას და განვითარებას ამუხრუჭებს და მოსახლეობას ქვეყნიდან გაქცევისკენ უბიძგებს, რითაც კიდევ უფრო მძიმდება ისედაც უკიდურესად მძიმე და პირქუში დემოგრაფიული სურათი?

ეს არის კითხვები, რომლებზეც ჯერჯერობით პასუხი არ გაცემულა და არ გაცემულა იმ მიზეზითაც, რომ ეს კითხვები ჩვენს მთვლემარე და დეპრესიულ საზოგადოებაში, ჯერჯერობით, არც კი დასმულა იმ სიმწვავით და იმ კატეგორიულობით, როგორსაც ყოფნა-არყოფნის ეს საკითხი იმსახურებს.

●

საქართველო ის ქვეყანა იყო, სადაც სახლში შემოსულ ყმაწვილს უფროსები ფეხზე წამოუდგებოდნენ.

ეს გახლდათ პატივისცემის გამოხატულება არა მხოლოდ ამ ყმაწვილისადმი, არამედ, პირველ ყოვლისა, მომავლისადმი, რომლისთვისაც ამ ყმაწვილს მომავალში უნდა ეპატრონა.

ეს ყმაწვილი მომავლის კაცი იყო, მომავლისკენ მიმავალი კაცი, უფროსი თაობის მიერ მომავლისთვის გაგზავნილი,. დესპანი, რომელსაც იქ, მომავალში, უნდა წაეღო წინა თაობების მიერ დაგროვილი გამოცდილება და სიბრძნე.

აი, ამიტომაც ჰქონდა ქართველ კაცს განსაკუთრებული დამოკიდებულება ახალგაზრდა თაობისადმი.

„ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“,– ესეც ქართველი კაცის ნათქვამია.

დიახ, ქართველ კაცს ნამდვილად ურჩევნია, რომ შვილი მას სჯობდეს და ის ყველაფერს აკეთებს ამისთვის.

ქართველი მშობლის დამოკიდებულება შვილებისადმი ზოგჯერ მსხვერპლშეწირვას ჰგავს, იმდენად ბევრია ამ დამოკიდებულებაში ფანატიზმისა და თავგანწირვის ელემენტები.

ასე რომ, ქართველი კაცის ბუნებაში, მის ხასიათში საერთოდ არ ზის უმცროსი თაობისადმი აგრესიული, ანტაგონისტური განწყობის ნიშანწყალი.

ასე იყო ოდითგან, ასე არის დღემდე.

ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს – ჩვენზე უფრო ლამაზები, ჩვენზე უფრო განათლებულები, ჩვენზე უფრო კარგები.

დღევანდელ რეალობაში უფროს თაობას, საშუალო თაობას

თუ უმცროს თაობას შორის არანაირი ხიდჩატეხილობის პრობლემა არ არსებობს, რომელსაც შეუძლება რაღაც ობიექტური მიზეზები გააჩნდეს – ვთქვათ, იდეოლოგიური, მსოფლმდეხველობრივი, ფასეულობათა და ღირებულებათა სხვადასხვაობა და შეუთავსებლობა ან სხვა რაღაც ამგვარი.

პრობლემა, რომელზეც ამ წერილში ვსაუბრობთ, ხელოვნურად შემოგდებული პრობლემაა, მართული პროცესია, რომელსაც თავისი უჩინარი რეჟისორები და ავტორები ჰყავს და რომლებიც, ჩვენი ვარაუდით, ქართული გვარ-ტომისანი არ უნდა იყვნენ, იმდენად მზაკვრული, იმდენად მავნებლური და ანტიქართულია ის, რაც ამ პროცესების ქვეტექსტში იკითხება.

●

პირველი შეტევა უფროს და საშუალო თაობაზე გასული საუკუნის 90-იან წლებში დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების განდევნის შემდეგ ქვეყანაში მხსნელად და მესიად დაბრუნდებული ედუარდ შევარდნაძის მიერ განხორციელდა.

1995 წელს შევარდნაძის რეკომენდაციით პარლამენტის თავმჯდომარედ ირჩევენ სრულიად ახალგაზრდა ზურაბ ჟვანიას, „მწვანეების“ ლიდერს.

ეს იყო მოულოდნელი, შოკისმომგვრელი გადაწყვეტილება შევარდნაძის მხრიდან, რომელმაც ამ ნაბიჯით, ფაქტობრივად, გამოიწვია და მერე ღიად დაუპირისპირდა ქართველ საზოგადოებას, შესთავაზა რა მას უმაღლეს თანამდებობაზე ისეთი კანდიდატი, რომელიც ძალიან ბევრი ნიშნით სულაც არ იყო სასურველი და მისაღები ფიგურა ქართველი ამომრჩევლისთვის.

ზურაბ ჟვანიას დიდ პოლიტიკაში მაშინვე შემოჰყვა ახალგაზრდა პოლიტიკოსების მთელი პლეადა, რომლებმაც მცირე ხანში ხელთ იგდეს თითქმის მთელი ძალაუფლება, მოგვიანებით კი ეს ყველაფერი „ვარდების რევოლუციით“ დაგვირგვინდა.

თუმცა სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, მანამდე, ქვეყანაში შექმნილმა უმძიმესმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ, რომლის გამოც განადგურდა და გაჩანაგდა თითქმის ყველა დარგი – მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები, კინემატოგრაფია, თეატრები, მუსიკალური ხელოვნება, მწერლობა, მედიცინა ჩარეცხა და თან ჩაიყოლა მთელი უფროსი თაობა, რომელსაც, გასაგები მიზეზების გამო, არ შეეძლო ქვეყნიდან გაქცევით ეშველა საკუთარი თავისთვის.

ისინი, გაკოტრებულნი, ყოველგვარი სახსარის გარეშე დარჩენილები, რომლებმაც დაკარგეს ყველაფერი – სამუშაო ადგილები, ბანკებში შენახული დანაზოგი და, რაც მთავარია, დაკარგეს ყოველგვარი ფუნქცია, ჩაიმარხნენ და ჩაიხოცნენ იმ სახლის ნანგრევებში, რომლებსაც სხვებთან ერთად ისინიც აშენებდნენ და ყველაფერი, რაც გააჩნდათ, ამ სახლის კედლების ამოყვანას შესწირეს.

შევარდნაძის და მისი გუნდისთვის რომ გეკითხათ, ეს განუზომლად დიდი ტრაგედია სამოქალაქო ომის და სეპარატისტულ რეჟიმებთან დაპირისპირების შედეგი იყო, რომლებმაც ქვეყანა ეკონომიკურ კოლაფსამდე მიიყვანა.

რა თქმა უნდა, ეს სიმართლეა, მაგრამ არსებობს სხვა სიმართლეც, რომლის შესახებაც შევარდნაძე და მისი გუნდი დუმდა.

არც სამოქალაქო ომს, არც სეპარატისტებთან ხანგრძლივ დაპირისპირებას არ მიუყენებია საქართველოსთვის იმხელა ზიანი, რაც შევარდნაძემ მიაყენა თავისი მავნებლური და ძირგამომთხრელი საქმიანობით.

სწორედ შევარდნაძის დროს განიავდა და კაპიკებში გასხვისდა საერთო-სახალხო ქონება, მის მიერ დაარსებული ბანკებით პირწმინდად გაიძარცვა ქვეყნის მთელი მოსახლეობა, სხვადასხვა ფინანსური მაქინაციებით ერთეულების ჯიბეებში გადაინაცვლა მოქალაქეთა ანაბრებმა, რითაც დაზარალდა ყველა, მაგრამ განსაკუთრებით დაზარალდა უფროსი თაობა.

დაზარალდაო, კი ვთქვით, მაგრამ სიტყვა დაზარალდა არ გამოხატავს იმ კატასტროფის მასშტაბებს, რაც უფროს და საშუალო თაობას დაატყდა თავს.

ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის მაღალკვალივიციური სპეციალისტები, ინჟინრები, ეკონომისტები, მეცნიერების სხვადასხვა დარგების წარმომადგენლები, ანუ ის ადამიანები, რომელთა მხრებზეც იდგა ქვეყანა, ფუნქციადაკარგულ მასად იქცა.

როგორც ჩანს, პროექტის ავტორები თვლიდნენ, რომ ადამიანები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ცხოვრობდნენ და ავტორიტარული რეჟიმის პირობებში ჩამოყალიბდნენ პიროვნებებად, ვერ გამოდგებოდნენ დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლებად და ხელს შეუშლიდნენ დემოკრატიული ღირებულებების და ფასეულობების დამკვიდრების და განვითარების პროცესს.

შევარდნაძის დროს ფარულად და მალულად დაწყებული გეგმა საბჭოთა მენტალიტეტით „დაავადებულ-დასნეულებული“ თაობებისგან საზოგადოების „გაწმენდა-გაჯანსაღებისა“ უკვე ღიად და დაუფარავად გააგრძელა შევარდნაძის მოწაფემ და მის მიერვე საქართველოს მომავალ პრეზიდენტად გამოცხადებულმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც, მასწავლებლისგან განსხვავებით, ზოგჯერ ვერ იოკებდა მოჭარბებულ ემოციებს და ისეთ რაღაცებს დააყრანტალებდა ხოლმე, რაც საიდუმლოდ უნდა შეენახა.

სააკაშვილმა ღიად უწოდა უფროსი თაობის წარმომადგენლებს, საპატივცემულო და დამსახურებულ ადამიანებს „ჩარეცხილები“, თუმცა ის არ განუმარტავს, ვინ და რატომ, რა დანაშაულისთვის ჩარეცხა ისინი.

„ნაციონალებს“ სწყინთ, როცა მათ ნეობოლშევიკებს უწოდებენ, არადა, რა არის აქ საწყენი – „ნაციონალებიც“ ზუსტად ისე იქცეოდნენ, როგორც გასული საუკუნის 30-იან წლებში იქცეოდნენ კომუნისტები და კომკავშირლები, რომლებმაც მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტიდან ივანე ჯავახიშვილი გამოაგდეს და მას თან მიაყოლეს პროფესორ-მასწავლებელთა მთელი პლეადა.

ბოლშევიკებსა და ნაციონალებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ აქვთ საერთო – ბოლშევიკები მთელი სერიოზულობიოთ ფიქრობდნენ შეექმნათ ახალი ტიპის ახლებურად მოაზროვნე ადამიანი.

30-იან წლებში „უღმერთოთა კავშირის“ თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის შვილიშვილი, უმცროსი მიხეილ სააკაშვილიც არ მალავდა, რომ მასაც ის იდეა აწუხებდა, რაც მის პაპას და პაპის თანამოაზრეებს – ახალი ადამიანის, ახალი ქართველის შექმნა.

ღმერთს ჩანაცვლებულ მიშას ამ დიადი მიზნის სისრულეში მოსაყვანად, ცხადია, ხელისშემშლელ ფაქტორად მიაჩნდა იმ ადამიანების არსებობა, რომლებიც თავიანთი განათლების, აღზრდის, გამოცდილების გამო ამ „დიად“ იდეას შიზოიდურ გამოხტომად და სატანის მიერ ნაკარნახევ მკრეხელობად შეაფასებდნენ.

ამიტომაც დაიწყო სააკაშვილმა ფართომასშტაბიანი რეპრესიები ყველა მიმართულებით, რომ საბოლოოდ ჩაერეცხა ის ადამიანები, რომლებიც შევარდნაძის ფარულ და შენიღბულ გენოციდს სასწაულებრივად გადაურჩნენ.

●

ჩვენთვის მისაბაძი ამერიკის შეერთებული შტატების თუ ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებას რომ ვუკვირდები, იქ პოლიტიკურ ელიტას უფროსი თაობის ადამიანები წარმოადგენენ და სწორედ ისინი ქმნიან პოლიტიკურ ამინდს.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, მთელ ცივილიზებულ სამყაროში ასეა – ადამიანები თავიანთი პოლიტიკური კარიერის მწვერვალებს 60–65–70 წლის ასაკში აღწევენ, საქართველოში კი ამ ასაკის ადამიანები უკვე ჩამოწერილად, ანუ „ჩარეცხილებად“ ითვლებიან.

საქართველოში პოლიტიკურ კარიერას მაშინ ამთავრებენ, როცა პოლიტიკური კარიერის ზედა საფეხურისკენ აღმასვლას უნდა იწყებდნენ.

სულ ახლახან აშშ-ის პრეზიდენტად 70 წლის ტრამპი აირჩიეს, რომელსაც კონკურენციას 66 წლის ჰილარი კლინტონი უწევდა.

დღევანდელ სიტუაციაში საქართველოში მსგავსი რამ წარმოუდგენელია რომ მოხდეს – 70 თუ 66 წლის ადამიანებს პრეზიდენტობის კანდიდატად კი არა, რომელიმე მეორეხარისხოვანი სამმართველოს უფროსადაც კი არავინ წარადგენს.

ეს ტენდენცია კარგად არის ასახული თუნდაც საქართველოს პარლამენტის ამჟამინდელ შემადგენლობაში.

ცოტათი ქალბატონი გუგული მაღრაძე და ბატონი რეზო არველაძე რომ არ შველოდნენ საქმეს თავიანთი საპენსიო ასაკით, პარლამენტის წევრთა საშუალო ასაკი ძალიან ახალგაზრდული, მე ვიტყოდი, ზედმეტად ახალგაზრდული იქნებოდა.

ახალგაზრდების საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს, მაგრამ, როცა დარღვეულია ბალანსი თაობათა შორის, როცა, ფაქტობრივად, დაწესებულია ასაკობრივი ცენზი, რაც ძალიან ჰგავს თაობათა დისკრიმინაციას, არა გვგონია, ეს ყველაფერი სასიკეთოდ წაადგეს ქვეყნის განვითარებას.

ვერც ვვითარდებით, რადგან განვითარებისთვის მხოლოდ ახალგაზრდული ენერგია და ენთუზიაზმი არ კმარა, თუ მას არ წაეშველა გამოცდილება და სიბრძნე, რომელიც არც ერთ უნივერსიტეტში არ ისწავლება და რომელიც მხოლოდ წლებს მოაქვთ.

ილია ამბობდა: „ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულგანათებული კაცები აკლია“.

დღეს საქართველოს მცოდნე და გონებაგახსნილი ადამიანები არ აკლია, მაგრამ უსახელო და უხილავმა მტერმა ამ ადამიანებს გზები ჩაუხერგა და იმ პრობლემებთან მისვლის საშუალება მოუსპო, რომელთა მოგვარება ამ ადამიანების ცოდნის და გამოცდილების გარეშე ძალიან დიდხანს გაგვიჭიანურდება.

არ შეიძლება, ქვეყანა თაობათა სასაკლაოდ იქცეს!

არ შეიძლება, ქვეყანაში ასაკობრივი ცენზით შემორაგული „რეზერვაციები“ არსებობდეს, რომლის მკვიდრნიც, მორალურად განადგურებულნი, „ჩარეცხილები“, უფუნქციოდ დარჩენილნი, ისე ელოდებიან სიკვდილს, როგორც ხსნას და შველას.

სოსო არჩვაძე:

იმ რუსეთთან, რომელსაც დღეს ოკუპანტს ეძახიან, მჭიდრო ეკონომიკური კავშირები სწორედ „ნაციონალებმა“ გააბეს

ბოსელს რომ ჰოსტელად გადააკეთებ, ამით ეკონომიკა არ განვითარდება

გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი სოსო არჩვაძე, რომლის განცხადებითაც, ქართული ეკონომიკა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობაზე.

მოგეხსენებათ, რუსეთში ხდება ჩვენი ბრენდირებული პროდუქტების — ღვინის, მინერალური წყლებისა და სხვა პროდუქტების ექსპორტი, ხოლო რუსეთიდან ვღებულობთ ენერგომატარებლებსა (ნავთობი, გაზი) და მარცვლეულს. ამ პროდუქტების იმპორტი უმეტესად რუსეთიდან ხდება, თუმცა ისე დიდი წილი არ უკავია ჩვენს საგარეო ბრუნვაში, დაახლოებით 14%-ია. 2005 წლის ჩათვლით, რუსეთს პირველი ადგილი ეკავა ჩვენს სავაჭრო ბრუნვაში, მაგრამ 2006 წლის ცნობილი მოვლენების, ანუ ჩვენს ალკოჰოლურ სასმელებზე ემბარგოს დაწესების შემდეგ, თურ-

ქეთი გახდა ასე ვთქვათ, ლიდერი. იგი ამ პოზიციას ჯერჯერობით ინარჩუნებს, მაგრამ იგრძნობა, რომ თურქეთს სერიოზულად ავიწროებს ორი მსხვილი მოთამაშე, რუსეთი და ჩინეთი. გარდა იმისა, რომ რუსეთი ყველაზე მსხვილი იმპორტიორია ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქტების, როგორიც ენერგომატარებლები და მარცვლეულია, ჩვენი ეკონომიკის გარკვეულ სეგმენტებში რუსულ კაპიტალს ძალზე აქტიური წარმომადგენლობა აქვს. რუსეთის კუთვნილებაა „თელასი“ და სხვა ენერგეტიკული ობიექტები, თბილისის წყალი, მას მნიშვნელოვანი როლი უკავია გადამამუშავებელ და ქიმიურ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ყიდულობენ ვენახებს, სხვა მიწის ფართობებს, ქმნიან ერთობლივ საწარმოებს და ა.შ. გავიხსენოთ რამდენი საქართველოს მოქალაქეა გადახვეწილი რუსეთში ოჯახის სარჩენად, ყოველწლიურად 800 მილიონი დოლარი შემოდიოდა საქართველოში ამ ხალხის ხარჯზე. როდესაც რუსული რუბლის დევალვაცია მოხდა ამერიკულ დოლართან, ეს გზავნილები განახევრდა, მაგრამ 400 მილიონი დოლარი, არამარტო საქართველოსთვის, დიდი ქვეყნებისთვისაც არ არის უმნიშვნელო თანხა. ასე რომ, რუსეთის იგნორირება არ შეიძლება. ჩვენთან რუსულ კაპიტალთან დაკავშირებით თავიდან ასეთი სტრატეგია იყო, თუ რუსები ფულს დააბანდებენა საქართველოში, მაშინ რუსეთის პირდაპირი სამხედრო აგრესია შემცირდებაო, მაგრამ ესეც გარკვეული პირობითობის მატარებელია. რუსეთი თავისი სტრატეგიული ინტერესებიდან გამოდის, იგი გლობალური მოთამაშეა, ყოველთვის გლობალურ მეგამიზნებს დაუთმობს თავის პოლიტიკას და არა რამდენად არის წარმოდგენილი და მონაწილეობს საქართველოს ეკონომიკაში. ჩვენ ამ რეალობიდან უნდა გამოვიდეთ და მოვახდინოთ ჩვენი ეკონომიკის შემდგომი დივერსიფიცირება. ეს არ ნიშნავს, რომ მარტო რუსეთთან მიმართებაში უნდა ვეძიოთ ალტერნატიული პარტნიორი. დავუბრუნდეთ ბუნებრივი აირის იმპორტის თემას, ხსენებული ენერგომატარებელი ბოლო დრომდე მოგვეწოდებოდა და ჯერაც მოგვეწოდება სომხეთისკენ ტრანზიტის საფასურად. მისი წილი არ არის ისე დიდი ჩვენს მთლიან მოხმარებაში, მაგრამ პერსპექტივაშ უნდა გავთვალოთ, თუ საქართველოს ეკონომიკა მთელი სიმძლავრით ამუშავდება, რა მოცულობის ბუნებრივი აირი დაჭირდება. დღევანდელი მოწოდება, რაც ნახევარდ მილიარდ კუბმეტრზე ცოტა მეტია, საკმარისია ეკონომიკის დღევანდელი და მოსახლეობის მიმდინარე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. 80-იანი წლების ბოლოს რა პოტენციალიც იყო, ანუ როცა მთელი დატვირთვით მუშაობდა ჩვენი მრეწველობა, მინიმუმ სამი მილიარდი კუბმეტრი გაზი დაგვჭირდება. არ გამოვრიცხავ, რომ 6–7 მილიარდზეც გაჩნდეს მოთხოვნილება და საიდან უნდა მოხდეს მისი დაკმაყოფილება, გვაქვს გარანტია, რომ აზერბაიჯანი მოგვცემს ამდენ გაზს? მისი მოწოდება შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარეშე შეუძლებელია, ამიტომ ჩვენ მოწოდების დივერსიფიცირებაზეც უნდა ვიზრუნოთ. ვფიქრობ, ადრე თუ გვიან ამ სფეროში დაგვჭირდება რუსეთის მომსახურება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველომ თავისი პრაგმატული პოზიციები დათმოს.

— ბატონო სოსო, საქართველოს სტრატეგიული ობიქტების „ოკუპანტი“ რუსეთისთვის გადაცემა, რუსული კაპიტალისა და ეკონომიკის „მეგავარსკვლავ“ ბენდუქიძის რუსეთიდან „იმპორტი“ სწორედ ნაციონალების, მანამდე ახალგაზრდა რეფორმატორებად წოდებულების ხელშეწყობითა და ძალისხმევით მოხდა. ახლა ეს ხალხი თავიანთ სატელიტებიანად გაჰყვირიან, რომ არც რუსული გაზი უნდა ვიყიდოთ და არც რუსეთის დახმარება უნდა მივიღოთ მასობრივი ხანძრების დროს.

— მე იმაზე კარგად ვერ შევაფასებ, რა შეფასებაც თქვენმა მთავარმა რედაქტორმა, ბატონმა ვახტანგ ხარჩილავამ გააკეთა „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში ღალატის თაობაზე. ყოველთვის ყველაზე დიდი პატრიოტი ის არ არის, ვინც ყველაზე მეტს ყვირის და გულში მჯიღს იცემს. ჩვენ საქართველოს გრძელვადიანი ინტერესებიდან უნდა გამოვიდეთ, სახელმწიფოს ინტერესები კი

ისაა, რომ საკუთარი მოსახლეობა უსაფრთხო მდგომარეობაში ყავდეს, ხელი შეუწყოს მის გამრავლებას, გაძლიერებას, განათლებას და უფრო მკვიდრი ადგილის დაკავებას მსოფლიო ცივილიზაციაში. ყველაფერი დანარჩენი, კონფლიქტები იქნება თუ სხვა, წარმავალია. ხმამაღალი განცხადებები და დეკლარაციები, მე უფრო დიდი პატრიოტი ვარ, ვიდრე დღევანდელი ხელისუფლებაო, არის დემაგოგია. ყველა ხელისუფლება მათი საქმიანობით ფასდება. რამდენი იყო საქართველოს ტერიტორია და მოსახლეობა, როცა ნაციონალები ხელისუფლებაში მოვიდნენ და რა დატოვეს წასვლის შემდეგ, ეს შევადაროთ. ისტორიული შეფასებისთვის ამ კრიტერიუმს იყენებენ. ასევე როგორია ნებისმიერი ხელისუფლების მმართველობისას მოსახლეობის განვითარების, განათლების, ეკონომიკური მდგომარეობის დონე. ამ კრიტერიუმებით თუ ვიხელმძღვანელებთ, ნაცმოძრაობას რომ იტყვიან, ხმა არ ამოეღება.

„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში რომ მოვიდა, ქვეყნის პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის აღორძინება გამოაცხადა. ამ კუთხით გადაიდგა გარკვეული დადებითი ნაბიჯებიც, რაც აშკარად არასაკმარისი იყო. გასული წლის დასაწყისისთვის ხსენებულმა დარგმა უკანა პლანზე გადაინაცვლა და ახლა ტურიზმის განვითარებას მივანიჭეთ პრიორიტეტი. თუკი საკუთარი წარმოების განვითარებაზე არ ვიზრუნეთ, ისევ იმპორტზე ვიყავით დამოკიდებული, რა მნიშვნელოვანი შემოსავალი უნდა მოუტანოს საქართველოს ტურიზმმა?

არის ასეთი გამოთქმა, რომ ჯაჭვის სიმყარე, შუა რგოლების სიმყარით იზომება. ასრგოლიან ჯაჭვში, რაც არ უნდა მყარი იყოს 99 რგოლი, თუ რომელიმე შუა რგოლი სუსტია, ჯაჭვი თავის ფუნქციას კარგავს. ტურიზმს რა თქმა უნდა აქვს პოტენციალი, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გამოყენება აუცილებელია, სირცხვილიც იქნებოდა რომ არ გამოგვეყენებინა, მაგრამ იმ ჯაჭვის პრინციპის საფუძველზე, მთლიანობაში განვითარებული ეკონომიკა გვჭირდება და ერთი რომელიმე დარგის ხარჯზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება, ეფემერული, მოკლევადიანი და მყისიერი შედეგის მომტანი, რომლის ეფექტურობაც რაიმე პოლიტიკური ძვრის შემთხვევაში, ფაქტობრივად მინიმალურ დონეზე დავა. ამიტომაც საჭიროა სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება. ერთ მაგალითს გეტყვით, მესტიის რაიონში თითქმის ყველა ადგილობრივმა მცხოვრებმა თავისი სახლი სასტუმროდ გადააკეთა, ტურისტებს კი ღებულობენ, მაგრამ მათი გამოსაკვები პროდუქტები სხვა რეგიონებიდან ჩააქვთ. მარტო სახლს ვინ ჩივის, კაცს 12 ძროხა ყავდა, ფერმა გააუქმა და ბოსელი ჰოსტელად გადააკეთა, ახლა ხორცი, ძეხვი, რძის პროდუქტები გარედან შეაქვს. მარტო სვანეთში კი არა, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში ასეთი სიტუაციაა, ლამის მთელი მთელი ქვეყანაა ქცეული უტილიზაციის ობიექტად. შემოდის ტურისტი, დახარჯავს ფულს, მაგრამ ამ ფულის დიდი ნაწილი საქართველოდან გადის, რადგან კვების პროდუქტების დიდ ნაწილი თურქეთშია წარმოებული. თუ ასე გაგრძელდა, საქართველო ამ დოვლათის უტილიზაციის, წარმოებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენების ადგილი იქნება. იმის გამო, რომ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ჩვენს მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, ყოველწლიურად მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების პროდუქციის იმპორტი გვიწევს. მართალია, გარკვეული პროდუქციის ექსპორტიც ხდება, მაგრამ იმპორტის წილი 70–80%-მდეა. ევროკავშირმა ნება დაგვრთო, რომ ევროპის ბაზარზე 8.000 ტონა ხორცი შევიტანოთ. ქართული ანდაზა მახსენდება, ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო, ად-

გილზე დაახლოებით 40–50 ათას ტონა ხორცს ვაწარმოებთ, 60–70 ათასი ტონა კი საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს, თანაც მსყიდველუნარიანობიდან გამომდინარე, საჭიროზე ნაკლებ რაოდენობას მოვიხმართ. ყიდვის საშუალება რომ გვქონდეს, 150–200 ტონა უნდა შემოვიტანოთ. ასეა ბევრ სხვა პროდუქტთან დაკავშირებითაც. ჩვენ თუ მილიარდ დოლარზე მეტის საქონელი შემოგვაქვს, ვიდრე გაგვაქვს ექსპორტზე, გამოდის მილიარდ დოლარზე მეტი გადის ქვეყნიდან და როგორ უნდა დავიჭიროთ დოლარის კურსი? 2003 წლამდე ჰოლანდიას უფრო მეტი ყვავილების ექსპორტი ჰქონდა, ვიდრე საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი იყო. მერე ცოტა შეიცვალა ვითარება, მაგრამ ჩვენ თუ გვინდა ეკონომიკა წინ წავიდეს, ტურიზმი განვითარდეს, პირველ რიგში შესაბამისი ბაზა უნდა გვქონდეს, აგროსექტორი, გადამამუშავებელი მრეწველობა, ინფრასტრუქტურა უნდა იყოს განვითარებული. ტურიზმი მარტო ლამაზი მთები, ხედები და ჰაერი არ არის. ისე, ესეც ვერ მოვა შესაბამისობაში, თუ სათანადო ყურადღება არ მიექცევა, ბოლოდროინდელი ხანძრები სწორედ ამის მაგალითია.

— ბატონო სოსო, ნაციონალები ხელისუფლების სათავეში რომ მოვიდნენ, გააუქმეს ე.წ. საგზაო ფონდის საკმაოდ სოლიდური გადასახადი, რომელსაც უცხოელი გადამზიდავები საქართველოში შემოსვლისა და ტრანზიტული მოძრაობისთვის იხდიდნენ. დღეს რა მდგომარეობაა, საქართველოს ბიუჯეტში თუ იხდიან რაიმეს ეს უცხოელი „მეწარმეები“?

— იხდიან, მაგრამ გააჩნია რამდენს, არ არის მოწესრიგებული აღრიცხვიანობა. იმ ობიექტებში თურქული საქონლითა და ნედლეულით მზადდება პროდუქტები, ასე რომ, ჩვენ ფაქტობრივად თურქეთის ეკონომიკის გაძლიერებას ვემსახურებით. სამუხაროდ, ეს რეალობაა. შეიძლებოდა ამ ყველაფრის დარეგულირება, თუნდაც ე.წ. კვოტირების პრინციპით, თუ იქიდან კვოტირებულზე მეტი შემოვიდოდა, მომსახურება იქნება თუ სხვა, მაშინ ნაცვალგება სხვა ფორმით უნდა გამოიხატოს, თურქული მხარე დამატებით თანხას გადაიხდიდა და ა.შ. მე ორი წლის წინ ჩავატარე კვლევა, როგორც გითხარით, როცა თურქეთიდან ვაწარმოებთ იმპორტს, ამით ვაძლიერებთ თურქულ ეკონომიკას, მარტო იმის ხარჯზე, თურქულ საქონელს რომ ვყიდულობთ დაწყებული ტექსტილიდან, დამთავრებული სანტექნიკის საშუალებებით, თურქეთში დამატებითი სამუშაო ადგილები იქმნება. ჩვენ ერთ დღეს უარი რომ ვთქვათ თურქულ პროდუქციაზე, დაახლოებით 60.000 კაცით გაიზრდება თურქეთში უმუშევართა რაოდენობა. ამის გარდა, თურქი გადამზიდავების საქართველოში მოძრაობა, ცენტრალური ავტომაგისტრალის გაყოლებაზე კვების და საეჭვო რეპუტაციის მქონე ობიექტების არსებობა, ეს არის თურქეთის ეკონომიკის გაგრძელება საქართველოს ტერიტორიაზე. რატომ შეადგენს უმეტეს შემთხვევაში ექსპორტი იმპორტის მხოლოდ მესამედს, ამას თავისი ახსნა აქვს. 90-იანი წლების დასაწყისში, შევარდნაძის ფრაზას მოვიშველიებ, ყველას თოხის მაგივრად თოფი ეჭირაო, წარმოება მთლიანად გაჩერდა. ქვეყანას რომ ეარსება, საჭირო იყო რაღაც რესურსების მოძრაობა, მათ შორის, იმპორტის. 90-იანი წლების დასაწყისში, ფაქტობრივად იმპორტიორებმა გადაარჩინეს საქართველო, მაგრამ მერე იმპორტიორების პოზიტივი ნეგატივში გადაიზარდა. იმდენად სტრუქტურირებული გახდა მათი ფინანსური, ეკონომიკური შესაძლებლობები და რესურსები, რომ პოლიტიკაზე უკვე სერიოზული გავლენების მოხდენა შეეძლოთ. ბოლო წლებში ეს გავლენა მცირდება, მაგრამ ბოლომდე არ არის გამქრალი. ზოგადად, როგორც წესი იმპორტსა და იმპორტიორებს უფრო ძლიერი ლობი ყავთ, ვიდრე ადგილობრივ მწარმოებლებს, ეს ზოგადი ტენდენციაა. უბედურება ისაა, რომ წლების განმავლობაში ქართველი ხალხის ცნობიერებაში მოხდა სამშობლოსა და სახელმწიფოს დაშორიშორება. ზოგიერთი სახელმწიფოს, როგორც ხორცმეტს ისე უყურებს, პირადი სარგებლის სახელმწიფო ინტერესებზე წინ დაყენებითაა დაკავებული. დედაქალაქის აეროპორტის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, გერმანული ფირმა გაცილებით მეტ ტერმინალს, ასაფრენ ზოლს და მომსახურების უკეთეს პირობებს, თანაც იაფად სთავაზობდა ქართულ მხარეს, მაგრამ რატომღაც ნაციონალების ხელისუფლებამ ნაკლებად ცნობილი თურქული ფირმა ამჯობინა, უფრო მძიმე და უარესი პირობები ჰქონდა. რომ იტყვიან, თეთრი ძაფითაა ნაკერი, ეს „გარიგება“, რომლის გამოც 2027 წლამდე თბილისიდან იაფად და კომფორტულად შესაძლებლობები არ გვექნება არც ჩვენ და არც საქართველოს სტუმრებს. ამ კონტრაქტში ცალსახად არის ჩაწერილი, რომ თბილისიდან 200 კმ-ის რადიუსში არ უნდა იყოს აეროპორტი, რომელიც კონკურენციას გაუწევს თბილისის აეროპორტს. კიდევ კარგი, ქუთაისი 230 კმ-შია და „კოპიტნარის“ აეროპორტით სარგებლობის საშუალება გვაქვს. არ ვიცი რა დავარქვა იმ დამატებით გადასახადს, რომელსაც ხსენებული ხელშეკრულების გამო იხდის თითოეული მგზავრი დედაქალაქის აეროპორტში, კონტრიბუცია თუ ბეგარა. უამრავი „დრაკონის კბილია“ დათესილი საქართველოს ეკონომიკაში თუ სამართლებრივ სივრცეში, რომელიც ჯერ არ გამომჟღავნებული,

მაგრამ შხამიან ნაყოფს ანტისახელმწიფოებრივი შედეგით კიდევ მოიტანს და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. სანამ არ მოხდება სამშობლოსა და სახელმწიფოს არათუ დაახლოება, არამედ იდენტიფიცირება, ყოველთვის უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ნუ გვავიწყდება, რომ სახელმწიფო ინტერესების რეალიზაციით, ფაქტობრივად ჩვენი ეროვნული ინტერესების რეალიზაციასაც ვახდენთ. ამ მიმართულებით რაღაც კი კეთდება, მაგრამ დაბალი ტემპითა და დამოკიდებულებით. თვითონ ის ფაქტი, რომ დღეს ამ თემაზე გვიწევს მსჯელობა, მიანიშნებს, რომ საზოგადოებაში ეს პრობლემა არსებობს. თქვენი გაზეთი და ერთი-ორი სხვა გამოცემაც ამ საკითხებზე ყურადღებას ამახვილებს, შესაბამისად, საზოგადოების-კონცენტრაცია-მობილიზება ხდება ამ თემაზე. როდესაც ასეთი მუშაობა მიმდინარეობს, ის ადრე თუ გვიან, დადებით შედეგს მოიტანს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი შეზღუდვა კომერციულ ბანკებზე არ გავრცელდება

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი შეზღუდვა კომერციულ ბანკებზე არ გავრცელდება.

აღნიშნული შეზღუდვა ასევე არ გავრცელდება განსკუთრებულ შემთხვევებზე, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილებით განისაზღვრება.

შესაბამისი ცვლილებები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონში შედის, რომელიც პარლამენტს 6 დეპუტატის ინიციატივითა და ავტორობით წარედგინა.

კანონპროექტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, საკუთრების უფლების შეძენის შეჩერების შესახებ დადგენილი მორატორიუმი არ გავრცელდება კომერციულ ბანკებზე, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება საბანკო

საქმიანობის განხორციელების ფარგლებში წარმოეშობათ. ასეთ შემთხვევაში, კომერციულ ბანკებს წარმოეშობათ ვალდებულება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებიდან ორი წლის ვადაში გაასხვისონ ის შესაბამის უფლებამოსილ პირზე.

პარლამენტში წარდგენილი ცვლილებებით, ასევე გათვალისწინებულია მთავრობისათვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება, მორატორიუმიდან გამონაკლისის დაშვებასთან დაკავშირებით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში, დაინტერსებულმა პირმა შესაბამისი არგუმენტაციით უნდა მიმართოს დარგში პოლიტიკის განმახორციელებელ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის დაწესებულებას, რომელიც საკითხის შესწავლის შემდგომ, საკითხს განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მთავრობას წარუდგენს.

პროექტის ინიციატორები არიან დეპუტატები: ანრი ოხანაშვილი, ეკა ბესელია, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, გურამ მაჭარაშვილი და ილია წულაია.

პროკურატურა უკრაინისთვის მიხეილ სააკაშვილის დაკავებისა და ექსტრადიციის მოთხოვნით მიმართვის შესახებ განცხადებას ავრცელებს

მთავარი პროკურატურა მიხეილ სააკაშვილის დაკავებისა და ექსტრადიციის მოთხოვნით უკრაინისთვის მიმართვის შესახებ განცხადებას ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, საქართველოს პროკურატურამ, 2017 წლის 1 სექტემბერს უკრაინის იუსტიციის სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურას მიხეილ სააკაშვილის დაკავებისა და ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობით კიდევ ერთხელ მიმართა.

„აღსანიშნავია, რომ მაშინ, როდესაც ძებნილი პირის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე იმყოფება გამოძიების სტადიაზე, უკრაინული კანონმდებლობის თანახმად ექსტრადიციის საკითხის განმხილველი ორგანოა უკრაინის გენერალური პროკურატურა, ხოლო როდესაც ძებნილი პირის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმე იმყოფება სასამართლო განხილვის ეტაპზე, ექსტრადიციის საკითხს განიხილავს იუსტიციის სამინისტრო. აღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან მიხეილ სააკაშვილის მიმართ არსებული ბრალდების ყველა საქმე იმყოფება სასამართლო განხილვის სტადიაზე, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მისი დაკავებისა და ექსტრადიციის შუამდგომლობა გააგზავნა უკრაინის იუსტიციის სამინისტროში. ამჟამად მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურა.

INTERPRESSNEWS.GE

მერაბ ბალაშვილი:

დიახ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უდიდესი ღალატი ჩაიდინა საქართველოს წინაშე!



გასულ კვირას წეროვანიდან რედაქციაში გვესტუმრა გაზეთ „ახალგორის“ რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ბატონი მერაბ ბალაშვილი.

გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

— მას შემდეგ, რაც „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნდა ბატონი ვახტანგ ხარჩილავას სტატია „დიდი ღალატის ანატომია“, მეც გამიჩნდა სურვილი ჩემი შეხედულებები გამეზიარებინა თქვენი პატივცემული მკითხველებისთვის.

ყველაფერზე რომ ვისაუბრო, ამას, ალბათ, მთელი გაზეთი არ ეყოფა, ამიტომ რაც სათქმელია, მოკლედ მოგახსენებთ.

თავიდანვე ვიტყვი, სწორი შეფასება მისცა ბატონმა ვახტანგმა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს. ახალგორი, ისევე, როგორც კოდორის ხეობა, ფაქტობრივად, მოღალატურად გაყიდეს და ჩააბარეს.

— რას გულისხმობთ ჩაბარებაში, თქვენ იმ მოვლენების თვითმხილველი ბრძანდებით, უფრო კონკრეტულად მოგვიყევით.

— 2008 წლის აგვისტოს ოკუპაციამდე სააკაშვილის ხელისუფლებამ მოახდინა შიდა ოკუპაცია — 2007 წელს, თუ არ ვცდები, აპრილსა თუ მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც აღადგინეს ე.წ. სამხრეთ ოსეთი და უკანონოდ დანიშნული გაყალბებული არჩევნებით პრეზიდენტად დიმიტრი სანაკოევი აირჩიეს. ამ ახალ ადმინისტრაციაში ახალგორის რაიონიც შეიყვანეს და ყოველივე ეს საქართველოს მაშინდელმა „ნაციონალურმა“ პარლამენტმა დაამტკიცა, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გახლდათ, მაგრამ ყველაზე სამწუხარო მაინც ის არის, რომ ამ მოღალატურ გადაწყვეტილებას ხმა ახალგორელმა კაცმა, ახალგორის მაჟორიტარმა დეპუტატმა ცეზარ ჩოჩელმაც მისცა.

ახალგორის რაიონი 17 წლის განმავლობაში მცხეთა-მთიანეთის გუბერნიაში შედიოდა. 1990 წლის 4 სექტემბერს, ახალგორის რაიონული საბჭოს დადგენილებით, რომლის დეპუტატიც მე გახლდით, ახალგორი მაშინდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გამოეყო. კარგად მახსოვს, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას მივმართეთ, ისინიც დაგვთანხმდნენ და სპეციალური დადგენილების საფუძველზე, ახალგორის დამოუკიდებელ ერთეულად გამოყოფა კანონიერად დამტკიცდა.

მალე უზენაესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საერთოდ გააუქმა.

— სარჩულად რა დაუდეს ამ მოქმედებას. რას ამბობდა ხელისუფლება, რატომ მივუერთეთ ახალგორი ცხინვალის რეგიონსო?

— ვითომ დაბრუნება გვინდა ცხინვალის ტერიტორიისო, გავაფართოებთ რეგიონს და არჩევნებს ისე ჩავატარებთო, მაგრამ არჩევნები და კიდევ ერთი პრეზიდენტი რაღა საჭირო იყო?! ისედაც ჰყავდათ ოსებს „პრეზიდენტი“ — კოკოითი. ამ არჩევნებით მესამე პრეზიდენტი აირჩიეს.

მას შემდეგ 17 წელიწადი გავიდა და მე მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩაიდინა უდიდესი ღალატი საქართველოს წინაშე!

სააკაშვილმა შევარდნაძეს გადაასწრო ღალატში.

— შევარდნაძის მოღალატეობაზე რომ საუბრობთ, ამ შემთხვევაში, ალბათ, დაგომისის ხელშეკრულებას გულისხმობთ.

— დიახ, დიახ, დაგომისის ხელშეკრულებით 1992 წელს ახალგორი ორ ნაწილად — ქართულ და ოსურ ზონებად დაყვეს. ოსური ნაწილი, რომელსაც ლეხურის ხეობა ერქვა, ქართულ იურისდიქციას მოსწყდა, მეორე ნაწილი — ქსნის ხეობა მცხეთა-მთიანეთის გუბერნიაში დარჩა. მიუხედავად ამისა, მოსახლეობას ურთიერთობა არ შეუწყვეტია. ერგნეთის ბაზრობაზე ქართველები და ოსები მშვიდობიანად ვაჭრობდნენ. ხალხმა შვებით ამოისუნთქა.

მე ახალგორელი ვარ, ჩემი თვალით ნანახს გიყვებით, ამიტომ თავისუფლად შემიძლია გითხრათ, ახალგორში ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობა შეიძლება გამოდგეს იმის სამაგალითოდ, როგორ შეიძლება ორი ერი თანაცხოვრობდეს ერთად ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე.

მე, თვითონ, წარმოშობით ქარჩოხის ხეობიდან ვარ, რომელსაც 70-იან წლებამდე 4–5 ოსური სოფელი ესაზღვრებოდა. ჩვენ, ქართველებსა და ოსებს, შესანიშნავი დამოკიდებულება გვქონდა. იქმნებოდა შერეული ოჯახები, იყო ნათელ-მირონობა, ნათესაობა, მისვლა-მოსვლა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ქსნის ხეობა დაიცალა ქართველებისგან. იქ ქართველები ეროვნულ უმცირესობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტი არ მომხდარა, მეტიც, ამ ომის შემდეგ პირველი ქორწილი სწორედ ოსისა და ქართველის შეუღლების აღსანიშნავად გაიმართა.

— მე წეღან ომის წინა პერიოდზე გკითხეთ. რა ხდებოდა, როგორ დავკარგეთ ახალგორი?

— ომის დამთავრების მერე ახალგორში ოსებისა და რუსების სამხედრო ძალები რომ შემოვიდა, ქართული სპეცნაზი ისე გაიპარა, მოსახლეობამ ვერაფერი ვერ გაიგო. ხალხი სრულიად დაუცველი, შიშველი ხელებით შეხდა ამ სამხედრო აგრესიას.

2008 წლის 12 აგვისტოს ხელი მოეწერა რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულებას, რითაც ომი დასრულებულად გამოცხადდა, მაგრამ რამდენიმე დღეში, 15 აგვისტოს, ჯარები ისე შემოვიდნენ ახალგორის რაიონში, მოსახლეობა არავის გაუფრთხილებია.

დღეს კი ისეთი რეალობაა, რომ ქართველები სპეციალური საშვის გარეშე ახალგორში ვერ გადადიან თავიანთი წინაპრების საფლავების მოსანახულებლადაც კი.

კიდევ ვიმეორებ — ეს იყო ღალატი, „კოკოითი ფანდარასტ“, ქურთაში მეორე პრეზიდენტის დასმა, შემოვლითი გზის გაკეთება, ვითომდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, სინამდვილეში, დასრულდა ომით.

ხელისუფლება მაშინ ჰპირდებოდა ხალხს, 20 მლნ შემოვა ახალგორში, აყვავდება აქაურობაო. დაიწყეს ქუჩების, სკოლების, გზების რემონტი… ყველაფერი 2008 წლის ომამდე გაფორმდა და მერე ომმა ჩამოწერა…

ხელისუფლების წარმომადგენლები სამების მთით არაგვზე გადავიდნენ, თანამდებობის პირების ქონებები გამოიტანეს. ამასობაში ოსი ბოევიკები მოადგნენ ახალგორს. ხალხი არაგვის ხეობაში გაიხიზნა. რაიონის ყველა ადმინისტრაციული სამსახური, თვით მუზეუმიც კი, უპატრონოდ დატოვეს და მოწინააღმდეგეს გადააბარეს.

მე ვესაუბრე ამ ამბების უშუალო თვითმხილველს, ადამიანს, რომელიც მაშინდელ მთავრობაში მოღვაწეობდა. მან თქვა: ჩვენ გენერალ ბორისოვთან გავაგზავნეთ გენერალური შტაბის უფროსი, რომელსაც უნდა გადაეცა სააკაშვილისთვის, რომ ახალგორს დაუბრუნებდნენ საქართველოსო, მაგრამ ადეიშვილმა უთხრა გენშტაბის უფროსს: პირველ პირს არ უნდა ახალგორის რაიონი და არც მისი დაბრუნებაო, რაც ნიშნავს, რომ უკვე მომხდარი იყო გარიგება. ახალგორის რაიონი უნდა ჩაებარებინათ. ასე დაგვღუპეს! ესენი გაკეთდნენ, საქართველო — დაზარალდა. ამ ომით „ნაციონალურმა მოძრაობამ“ იხეირა, საქართველომ ტერიტორიის 20% დაკარგა.

სააკაშვილს ბრალს ვერ უყენებენო. მე გეტყვით, ყველაზე წყალგაუვალი დოკუმენტი, რომლითაც მას შეიძლება ბრალი წაეყენოს, ეს არის ქსნის ხეობის ჩაბარება. ეს იქნება საკმარისი იმისთვის, რომ მან უმკაცრესად აგოს პასუხი.



ქვეყნის მოღალატე, ეგა… ქსნის ხეობა არასდროს ყოფილა ოსების!!.

— ამბობენ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არაფერს აკეთებენ რუსებიო, მოშლილია კომუნიკაცია და ინფრასტრუქტურაო. თქვენ ხომ არ ყოფილხართ ბოლო ხანს ახალგორში, რა ხდება იქ?

— ორი-სამი თვის წინ ვიყავი. ბევრი რამეა გაკეთებული. საბავშვო ბაღი, სკოლა, თანამედროვე სტილში გარემონტებულია ბანკი, შეაკეთეს ადმინისტრაციული ობიექტები, მოეწყო ახალგორის კულტურისა და დასვენების პარკი, სახანძრო დაცვის ობიექტი. წარმოება და ყველაფერი რუსულ ენაზეა, თუმცა ქართული სკოლებიც არსებობს. ახალგორში სულ 11 სკოლაა, მათ შორის, 6 ქართულია. იქ ქართველი ბავშვები უკვე ცოტანი არიან, მაგრამ, ჯერჯერობით, არავის დაუხურავს ქართული სკოლები. ქართული კულტურის ობიექტებიც ისევ ფუნქციონირებს, სამსახურებში ქართველებიც მუშაობენ და ოსებიც.

მოსამსახურეებს მაღალი ხელფასები აქვთ. პენსიონერები ზოგი ქართულ პენსიას იღებს, ზოგი — რუსულს, ზოგიერთი ორივეს ერთად.

— პრივილეგიები, ალბათ, უფრო ოსებს აქვთ, ხომ?

— ქართველები იქ ხელმძღვანელ პოსტებზე არსად არ მუშაობენ, რიგით სამუშაოებზე არიან, მაგრამ, როგორც გითხარით, ურთიერთობები ძველებურად არის შენარჩუნებული.

— თქვენ როგორ ცხოვრობთ, დევნილები?!

— ჩვენ ძალიან გვიჭირს.

წეროვანში 2000 ოჯახი ვცხოვრობთ. როგორც ცნობილია, დევნილებზე 4,5 მილიარდი დოლარი იყო გამოყოფილი, რომლის ძალიან მცირე ნაწილი მოგვხმარდა. ალბათ, ამ თანხის 90% სააკაშვილს და მის ბანდას დარჩა. ერთჯერად კოტეჯებში შეგვყარეს, ტერიტორიაზე, სადაც ერთი ხეც არ იდგა, უმძიმესი მდგომარეობა იყო, ახლა ხეხილი დარგო მოსახლეობამ, მაგრამ ყველას ძალიან უჭირს. სამუშაო არაა. 2000 ოჯახიდან უმცირესი ნაწილია დასაქმებული. გვიჭირს მატერიალურად, დახმარებები და ხელშეწყობა კი არსაიდან ჩანს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

გენო უშვერიძე:

ქვეყანას ალებ-მიცემობა კი არა, წარმოების განვითარება გადაარჩენს

რატომ არ ექცევა ყურადღება პროფესორ გენო უშვერიძის გამოგონებებს, რომლებიც ბატონი გენოს თქმით, უმუშევრობის პრობლემას საგრძნობლად შეამცირებს და სახელმწიფოს დიდ მოგებას მოუტანს

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში „სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა კომიტეტის" პრეზიდენტთან ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც რესპოდენტი გაზრდილი მიგრაციის, შეუსრულებელი საბანკო ვალდებულებებისა და მძიმე სოციალური ფონის გამომწვევ მთავარ მიზეზად სამუშაო ადგილების სიმცირეს და მოქალაქეების დაუსაქმებლობას ასახელებდა. მამისა ჯაფარაშვილის თქმით, საქართველოში არსებობენ გამოცდილი სპეციალისტები, რომლებსაც უმუშევრობის პრობლემის მოგვარება შეუძლიათ, თუმცა, ხელისუფლება მათ რესურსს არ იყენებს.

ერთ-ერთ ასეთ ადამიანად ქალბატონმა მამისამ ქართველი გამომგონებელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უკრაინის საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი ევგენი (გენო) უშვერიძე დაგვისახელა, რომელთან ინტერვიუსაც ახლა გთავაზობთ:

— მოგეხსენებათ, რომ დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას საკვების უსაფრთხოების გლობალური პრობლემა წარმოადგენს. პლანეტაზე მცხოვრები 7 მილიარდი ადამიანიდან 925 მილიონი შიმშილობს, აუცილებელი კალორიების ნაკლებობის გამო კი ყოველდღიურად, 24000 ადამიანი იღუპება. სამწუხაროდ, მდგომარეობა ყოველწლიურად მძიმდება. ზემოაღნიშნული პრობლემასთან ბრძოლისთვის მე ინოვაციური გზა გამოვნახე და შევქმენი სოფლის მეურნეობის კულტურების ქსოვილზე თესვისა და მოსავლის მიღების უნიკალური ტექნოლოგია.

ქსოვილი იქმნება ბუნებრივი, მკვრივი ქანებისგან მიღებული უწყვეტი ბოჭკოსა და ორგანული ბოჭკოს შესაბამისი თანაფარდობით წარმოებული ნართისგან. ამ ქსოვილის ძებნას 36 წელი მოვუნდი და 1987 წელს, შემთხვევით წავაწყდი. ჩემი საჭედი მანქანის გამოსაცდელად, რუსეთის ერთ-ერთი იარაღის ინსტიტუტში ჩავედი, რომელსაც ქართველი დირექტორი ხელმძღვანელობდა. სწორედ იქ ვნახე, რომ ბაზალტის „კროშკიდან" კეთდებოდა ძაფი, რომლითაც ჰაუბიცის ლულას აკეთებდნენ. ჩემი ვიზიტის დროს, ძაფი გამოელიათ და მთხოვეს, საქართველოდან ორი ვაგონი ბაზალტის „კროშკა" კიევში გამეგზავნა, რომ იქ ძაფი დაემზადებინათ. საქართველოში ჩამოსვლისთანავე, საავიაციო ქარხნის დირექტორს პანტიკო თორდიას დავუკავშირდი და მისი დახმარებით, ორი ვაგონი „კროშკა" კიევში გავაგზავნე. ბაზალტის ძაფის ნახვისთანავე, მივხვდი, რომ ზუსტად ეს მჭირდებოდა თუმცა, უკეთესი შედეგისთვის, მას სხვა ძაფებიც შევურიე. ქსოვილზე თესვა ორ ან მრავალ წყვილ სართულიან კომპლექსებში ხდება, რომლებსაც შენარჩუნებადი ხარჯებით, ეკოლოგიურად სუფთა გზებითა და დაგეგმილი მოსავლის გარანტირებული მიღებით შეუძლიათ მცირე ფართობზე რეკორდული მოსავლის მოცემა.

— ეს რას ნიშნავს, მოსავალს ყოველ დღე მივიღებთ?

— დიახ, ხორბლის მოსავლის მიღება ყოველდღიურად არის შესაძლებელი. კომპლექსის თითოეული სართულის იატაკზე განთავსდება ოთხი სპეციალური კონვეირი მოძრავი სისტემებით. ჭერზე დამონტაჟდება განათლებისა და სარწყავი სისტემები, რომლებიც მოსავლის უწყვეტ, სადღეღამისო რეჟიმში მოყვანის საშუალებას იძლევა. ზედა სართული მთლიანად, ნერგების მიღებას და სოკოს მოყვანას დაეთმობა. სოკო ხორბალს ფოტოსინთეზისთვის საჭირო ნახშირორჟანგით ამარაგებს, თავის მხრივ კი ხორბლისგან გამოყოფილი ჟანგბადით მდიდრდება, რაც ფოტოსინთეზისა და რესპირაციის უწყვეტ ციკლს განაპირობებს.

— როგორც ვიცი, ქსოვილზე თესვა თქვენი ერთადერთი გამოგონება არაა.

— 2003–2006 წლებში ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტოტრანსპორტისთვის მაღალი წნევის ბალონების წარმოება დავიწყე და ა.შ. ჩემი წარმოების მიერ დამუშავებული პროექტებით დამზადებული მანქანა-დანადგარები რეალიზებულია იაპონიაში, საფრანგეთში, გერმანიასა და პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში. 1979 წლიდან ტექნიკურ უნივერსიტეტში ვიყავი, სადაც შევქმენი საცდელი წარმოება, რომელიც მერე საკონსტრუქტორო საწარმოო გაერთიანებად გადაკეთდა. თუკი მანამდე ტექნიკური უნივერსიტეტი უბრალო ქანჩსაც კი ქარხნებს უკვეთავდა, ჩვენმა წარმოებამ ჩაის საკრეფი მანქანაც კი გამოუშვა. ეს იყო უნიკალური შესაძლებლობის ქარხანა, ოღონდ არა სერიული წარმოებისთვის.

— ქარხანა დღესაც არსებობს?

— ახლა ქარხანა-ფაბრიკები აღარავის ჭირდება, ამიტომ დიდ დიღომში, ქარხნის ადგილზე ავტოცენტრია გახსნილი. ამის გარდა, საქართველოში კიდევ ორი ქარხანა ავაშენეთ. ერთი იყო ბაზალტის ძაფის ქარხანა, რომელიც აგურ-აგურ დაშალეს და გაიტანეს და მეორე ვაზიანში, ბუნებრივ აირზე მომუშავე მანქანებისთვის მაღალი წნევის ბალონების წარმოება, რომელსაც ხარისხის მართვის საერთაშორისო სერტიფიკატი ჰქონდა. ამ ქარხნის აშენება და ამუშავება საქართველოს ნავთობსადენების კომპანიის თანხებით, მისი ხელმძღვანელის ნიკა ვაშაკიძის ხელშეწყობით და ქართველი მეცნიერების ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენებით მოხერხდა. გაეროს პროგრამის მიხედვით, 2010 წლისათვის მსოფლიოში დაახლოებით, 20 მილიონი მანქანა ბუნებრივი აირით საწვავით მომარაგებაზე უნდა გადასულიყო და ქართველი მეცნიერების ინიციატივაც ამის გამოძახილი გახლდათ. ქარხნის მშენებლობა 2005 წლის მაისში დაიწყო და ივლისში დასრულდა. 1000 ცალი ბალონის გამოშვება მოვასწარით, საიდანაც 285 ცალი მაშინვე ირანმა იყიდა. ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა, მაგრამ გახსნიდან 3 თვეში ქარხანა დახურეს და გასაყიდად გაიტანეს.

— რატომ?

— 2006 წლის 9 სექტემბერს სააკაშვილი ქარხანაში კამერების თანხლებით მობრძანდა. ყველაფერი რომ დაათვალიერა, იკითხა, ეს მერამდენე ქარხანაა, რომელსაც საქართველოში ვხსნითო? მე ვუთხარი, ეს მსოფლიოში მეათე, მაგრამ ამ ტექნოლოგიით მომუშავე, ერთადერთი ქარხანაა თქო. საქმე ის გახლავთ, რომ იმ დროის ბუნებრივი აირის ყველაზე იაფი ბალონი 380 დოლარი ღირდა. ჩვენი ბალონი კი 160 დოლარად რომ გაგვეყიდა, ყველა ხარჯს ვფარავდით და მოგებაც გვრჩებოდა, რადგან ჩვენს ტექნოლოგიას ელექტროენერგიის ნაკლები ხარჯი ჰქონდა და შესაბამისად, ღირებულებაც ნაკლები იყო. გერმანელებმაც კი აღიარეს, რომ მსოფლიოში ასეთი ტექნოლოგია არ არსებობდა, თუმცა როგორც ჩანს ხელისუფლებისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ნავთობის კომპანიის გაუქმების შემდეგ, ეს ქონება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გადავიდა, რომელმაც 2014 წელს ტექნიკურ უნივერსიტეტს უზუფრუქტით გადასცა. როცა ეს გავიგე, უნივერსიტეტის რექტორს აჩიკო ფრანგიშვილს წერილი მივწერე, სადაც ავუხსენი, რომ ქარხანა ჩვენ, ქართველმა მეცნიერებმა შევქმენით და ვთხოვე ან მოგვიწვიეთ და ამუშავებაში დაგეხმარებით ან გადმოგვეცით და ჩვენ ავამუშავებთ თქო. არც ერთი გააკეთეს და არც მეორე. 2015 წელს ჩვენი უნიკალური ღუმელები ამოთხარეს, მიწით გაავსეს და ჩააბეტონეს. იმას, რაც ფრანგიშვილმა გააკეთა, მავნებლობისა და ღალატის მეტს ვერაფერს ვუწოდებ, რადგან ამ ქარხანას უამრავი ადამიანის დასაქმება და ბიუჯეტში მილიონების შეტანა შეეძლო.

— როგორც თავად ბრძანეთ, ხილ-ბოსტნეულის შრობისა და ფქვილად ქცევის ტექნოლოგია 1987–1995 წლებში შეიმუშავეთ. ამ პროექტის განხორციელებაში რამ შეგიშალათ ხელი?

— თავის დროზე, როცა ეს ტექნოლოგია შევიმუშავე, ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა, ცეკადან დაწყებული, მთელი მთავრობა ხილის წვენებით შოულობს ფულს და გაანებე ამ ამბავს თავი, თორემ მოგკლავენო. მაშინ გავჩერდი, მაგრამ რამდენიმე წლის წინ, აჭარაში ხილი რომ ფუჭდებოდა, 50 მილიონიანი ბიზნეს გეგმა გავაკეთე. ეს ისეთი საქმეა, რომლიდანაც 50 მილიონს პირველივე წელს ამოიღებ და თანაც ერთი გრამი ციტრუსი არ ფუჭდება. მაგალითად, ვაშლი ავიღოთ. ვაშლში 87% წყალია, 20%-მდე რომ გააშრობ, ჩირი ხდება. მერე იწნეხება და იფქვება. როგორც ხსნადი ყავა, ასეთ ფხვილი კეთდება, ოღონდ ხილის. ეს პროექტი რომ ამუშავებულიყო, დღეს რომ კახეთმა ატამი გადაყარა, ერთი ცალი არ გაფუჭდებოდა და ხილის ფქვილი ექსპორტზეც გავიდოდა.. სამწუხაროდ, ვერც ერთი პროექტი ვერ ხორციელდება, რადგან არ უნდათ…

60-იანი წლების დასაწყისში იტალია ერთ ერთი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, მაგრამ მოვიდა პრემიერ მინისტრი, რომელმაც ჯერ მილანში მეტალურგიული ქარხანა ააშენა, მერე გემთმშენებელი, მერე ბანკების ნაციონალიზაცია მოახდინა და ქვეყანა ააყვავა. ჩემთან ინგლისელები იყვნენ მოსული, რომლებმაც ჩემი ქსოვილზე თესვის ტექნოლოგია ნობელის პრემიაზე გააგზავნეს. იქიდან მომივიდა კითხვა ამ ტექნოლოგიის პერუში ამუშავება თუ შეგიძლიათო. მე ვუპასუხე, რომ მთვარეზეც შემიძლია, თუ წყალი იქნება და ისიც შევუთვალე, რომ მათგან არც ნობელის პრემია მინდა და არაფერი. მხოლოდ საერთაშორისო პატენტი გამიკეთონ, რადგან მე ამის ფული არ მაქვს და მოგების 70% მათი იყოს და 30% საქართველოსი. მე არაფერი მინდა. სხვა არ ვიცი რა გავაკეთო.. ხელისუფლებას ვთხოვ, რომ თანხა გამოყოს ქარხნების ასაშენებლად, სადაც უამრავი კაცი დასაქმდება და სამი წლის მერე საქართველო სრულად დაკმაყოფილდება ხორბლით, ბრინჯით, ლობიოთი და ა.შ. მომიყვანონ პროფესიონალები და დავუმტკიცებ, რომ ეს გეგმა სრულიად რეალური და მომგებიანია. ქვეყანას ალებ-მიცემობა და ვაჭრობა კი არა, წარმოება ავითარებს და სანამ ამას არ გავაცნობიერებთ, არაფერი გვეშველება.

ნელი თორდია
571 35 36 88

ძლიერი რეგიონები

ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში

წესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. მუხლში 1,7 კილომეტრიან გზაზე ასფალტის საფარის დაგება დასრულდა. პროექტის ღირებულებამ 443 987 ლარი შეადგინა.

ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა მიმდინარეობს სოფლებში: სადმელში, ჭყვიშსა და მეორე ტოლაში – იგება ბეტონის საფარი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში

• მუნიციპალიტეტში შიდასაუბნო გზების გაწმენდით-სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ტექნიკა ზეგანი-ნერგეეთი-ბაღდათის დამაკავშირებელი 1,5-კილომეტრიანი გზის აღდგენაზე მუშაობს.

• მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, არჩილ გოგსაძის ინიციატივით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები დასასვენებლად ურეკში იმყოფებოდნენ. 25 ბენეფიციარი 10 დღის განმავლობაში ადაპტირებულ პანსიონატში რეაბილიტაციას გადიოდა.

დუშეთის მუნიციპალიტეტში

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა ქ. დუშეთის კულტურის სახლში გამართულ შეხვედრაზე მოსახლეობას დუშეთის მუნიციპალიტეტში გაწეული ოთხწლიანი საქმიანობის ანგარიში წარუდგინა. გამგებელმა მოსახლეობას დეტალურად გააცნო თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, კულტურული, სოციალური თუ საერთაშორისო პროექტები; უპასუხა მოსახლეობის შეკითხვებს და მოისმინა მათი მოსაზრებები.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტის – COMUS-ის („თემის მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიულ ქალაქებში“) ფარგლებში შექმნილი დოკუმენტური ფილმის ჩვენება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში

ქალაქ წყალტუბოში, 65 200 კვ. მეტრზე, ქუჩებსა და მწვანე საფარზე სადეზინფექციო სამუშაოები მიმდინარეობს. დეზიფექციასთან ერთად ტარდება ქუჩების დეტარიზაცია და ღონისძიებები ქვეწარმავლების დასაფრთხობად.

ამ სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 8000-მდე ლარია გამოყოფილი.

დუშეთი

წყალტუბოს კეთილმოწყობის ცენტრმა სარეველა ბალახების სათიბი კიდევ ერთი ტრაქტორი შეიძინა, რაშიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 32 500 ლარი დაიხარჯა. ახალ ტრაქტორს სათიბთან ერთად საწმენდი ნიჩაბიც აქვს, რომელიც ზამთარში ბილიკების თოვლისგან საწმენდად გამოიყენება. ამიერიდან პარკის ტერიტორიას ორი ერთეული გასაწმენდი ტრაქტორი მოემსახურება.

ცენტრალური პარკის 78 ჰა ფართობის გაწმენდა მთელი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ჩხოროწყუ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში

• სოფელ ნებოძირში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ბეტონის საფარი გზის 800-მეტრიან მონაკვეთზე იგება. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 159 970 ლარით დაფინანსდა. გზის რეაბილიტაცია სექტემბრის ბოლოს დასრულდება.

• ვერტყვილაში გზის მშენებლობა დასრულდა – 800-მეტრიან მონაკვეთზე, გზის გასწვრივ სანიაღვრე არხები და გვერდულები მოწესრიგდა. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 124 909 ლარით დაფინანსდა.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

მუნიციპალიტეტის გამგებელი დათო გოგუა პროექტ „ცვლილებების ტალღის“ კოორდინატორ მარიამ ჩიქოვანს შეხვდა და პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ ღონისძიებებზე ესაუბრა. პროექტი „ცვლილებების ტალღა“ მიზნად ისახავს ბულინგის შესახებ ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლებას, რაც მოიაზრებს მათ მიერ ამ პრობლემის სიმწვავის აღქმას და შესაძლო შედეგებზე დაფიქრებას. პროექტი მოიცავს მოზარდებისთვის ინფორმაციის მიწოდებას არაძალადობრივი კომუნიკაციის, ტოლერანტული გარემოს შესახებ ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორებიცაა სიმულაციური მეთოდები, სიტუაციური ამოცანები, ვიზუალური მასალა და თემატური ფილმის ჩვენება. პროექტის ფარგლებში სოფელ ზუმისა და სოფელ მუხურის №1 საჯარო სკოლების IX-X კლასების მოსწავლეებს 8 და 9 სექტემბერს ჩაუტარდებათ ტრენინგი ბულინგის თემატიკაზე, მიღებული ცოდნის გამოვლენის მიზნით კი გაიმართება ესეების კონკურსი. გამარჯვებულებისთვის დაწესებულია პრიზები.

ყვარლის მუნიციპალიტეტში

ზურაბ იაკობაშვილს, რომელიც თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის, პარიზში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, 65 კგ წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მშობლიურ ყვარელში მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეხვედრა მოუწყო. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის დარბაზი ხალხს ვერ იტევდა, შეხვედრაზე ბევრი თბილი სიტყვა ითქვა. მსოფლიო ჩემპიონს გამარჯვება მიულოცეს კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა – გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ილია მზექალაშვილმა და საქართველოს პარლამენტის წევრმა, ახმეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა გელა სამხარაულმა. ღონისძიებაში ადგილობრივი შემოქმედებით კოლექტივებთან ერთად ინდივიდუალური შემსრულებლებიც მონაწილეობდნენ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში

ბორჯომში, თორის ქ. №6 მიმდებარედ სკვერისა და სტადიონის მოწყობის სამუშაოები დასრულდა. დაიგო კაუჩუკის ფილები, მოეწყო ბორდიურები და ლამპიონები, ბავშვებისთვის დამონტაჟდა სასრიალოები, საქანელა და მბრუნავი ატრაქციონი, დაირგო ნაძვის ხეები. ტერიტორიაზე მოეწყო ქვაფენილი, სკვერში განლაგდა ტრენაჟორები, სკამები და ნაგვის ურნები. პროექტის ფარგლებში კორპუსის შიდა ეზოში რეაბილიტაცია ჩაუტარდა არსებულ მინი-სტადიონს. დაიგო ახალი ხელოვნური ხალიჩის საფარი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე სოციალურად დაუცველი 23 ოჯახისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. დამატებით კიდევ 2 სახლი აშენდება, რომლებსაც წლის ბოლომდე კიდევ 2 სახლი დაემატება. მათი მშენებლობა გამოცხადებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიის ხარჯზე მოხერხდა. საერთო ჯამში მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის გამგეობა 27 სახლს ააშენებს. ასევე, „ერთი თბილი ოთახის“ პროგრამაში დამატებით კიდევ ერთი ოჯახი ჩაერთვება.

მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა გამგეობის ექსკლუზიური პროექტია, რომელიც 2015 წელს დაიწყო და მიმდინარე

ძლიერი საქართველოსთვის

დედოფლისწყარო

წელსაც გრძელდება.

პრიორიტეტული ოჯახები ანკეტირების შედეგების შეჯამებული ქულების მიხედვით გამოვლინდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

დედოფლისწყაროს ე.წ. მიკრორაიონის ეზოში ბავშვთა გასართობი ატრაქციონები დამონტაჟდა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 46 487 ლარი დაიხარჯა.

„მიხარია, რომ საბავშვო გასართობმა ატრაქციონებმა ეს ეზო გამოაცოცხლა. ჩვენი მოვალეობაა, უკეთესი მომავალი შევუქმნათ მომავალ თაობას“, – განაცხადა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოსახლეობასთან შეხვედრისას და ატრაქციონების დათვალიერებისას.

ფოთის მერიის მუნიციპალიტეტში

მუნიციპალიტეტში ყოველ შაბათს ეწყობა დასუფთავების აქცია „სუფთა ქალაქი“, რომელიც ფოთის მერის, ირაკლი კაკულიას ინიციატივით იმართება. დასუფთავების აქციაში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები არიან ჩართული. ამჯერად საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დასუფთავდა ქალაქის შემოსასვლელი გზები (ნაბადის და მალთაყვის ტერიტორია). აქციის მთავარი მესიჯია – „ერთად ვიზრუნოთ გარემოზე“.

აბაშის მუნიციპალიტეტში

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები გრძელდება. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ პირველ ეტაპზე აბაშის მუნიციპალიტეტის 800 ჰექტარზე თხილის ფართობი შეწამლა.

ღონისძიებების მეორე ეტაპზე, მთლიანად სამეგრელოს რეგიონში უკვე დამუშავებულია 20 ათასამდე ჰექტარი და დაგეგმილია კიდევ 30 ათასამდე ჰექტრის შეწამვლა.

რეგიონში სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალური ტექნიკაა მობილიზებული. მავნებლის გავრცელების კერებში ინტენსიურად მუშაობს 7 ერთეული ამერიკული თერმული ნისლის გენერატორი, 6 ერთეული იტალიური სამანქანე შემასხურებელი და 2 იტალიური სატრაქტორო აგრეგატი. საკარმიდამო ნაკვეთები და ნათესი ფართობები თერმული ნისლის ტექნოლოგიის გამოყენებით და სამანქანე აგრეგატებით მუშავდება. მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებში აგრეთვე ჩართულია მაღალი წარმადობის დისპერსიული აეროზოლური შემასხურებელი, რომელსაც დღეში ასეულობით ჰექტარი სიმინდის მასივის დამუშავება შეუძლია. მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი და ფართობებში ყოველ 50 მეტრში დამონტაჟებულია მწერის დამჭერი ფერომონიანი ხაფანგები. ასევე ზუგდიდში, სურსათის ეროვნული სააგენტოს შენობაში შექმნილია მავნებელთან ბრძოლის დროებითი შტაბი.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

სასმელი წყალი ყველა დასახლებას! ეს დაპირება შესრულებულია მუნიციპალიტეტის ბევრი სოფლის მცხოვრებისთვის. პატარა ირაგა, დიდი თონეთი, ივანოვკა, ჩხიკვთა, ქოთიში, დურნუკი, ვარხუნოს დასახლება, დიდგორი, ხოპისი, მაწევანი, საღრაშენი – ეს ის სოფლებია, რომლებშიც 2017 წლის ზაფხულის თვეებში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.

მარტვილის მუნიციპალიტეტში

სოფ. სერგიეთისა და ონოღიას საბავშვო ბაღებში ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ბეტონის საძირკველი და ლითონის ახალი ჭიშკარი, ეზო შემოიღობება ლითონის მავთულბადით, მოეწყობა ბეტონის ბილიკი ჭიშკრიდან ბაღის შენობამდე, ლითონის მილ-ხიდი ჭიშკართან, შეიღებება ლითონის კონსტრუქციები, დამონტაჟდება წყლის პლასტმასის ავზი ელექტროტუმბოთი.

სერგიეთის ბაღის პროექტის ღირებულება 17 899 ლარია, ონოღიისა – 8 525 ლარი. სამუშაობი ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან ფინანსდება. თითოეულ ბაღში 6-6 ადგილობრივია დასაქმებული.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში

ქალაქ წალენჯიხაში წურწუმიას ქუჩის რეაბილიტაცია დაწყებულია. ბეტონის ღარის მოწყობის შემდეგ ტერიტორიაზე ასფალტბეტონის საფარი დაიგება.

თეთრიწყარო

გარდა ამისა, ქალაქ წალენჯიხაში ფიფიას, ტაბიძის, დადიანის, წურწუმიას, ხობელიას, სამეგრელოსა და მარჯვენა სანაპიროს ქუჩებზეც იგება ასფალტბეტონის საფარი.

სენაკის მუნიციპალიტეტში

სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ ლევან შონიასთან და პარლამეტის აგრარულ საკითხთა კომისტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელიასთან ერთად აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებების მიმდინარეობას სამეგრელოს რეგიონში გაეცნო.

მინისტრმა და გუბერნატორმა სიმინდისა და თხილის ფართობები დაათვალიერეს, ისინი ადგილობრივ ფერმერებსაც შეხვდნენ. ლევან დავითაშვილმა შექმნილი ვითარების შესახებ ინფორმაცია ფერმერებისგან პირადად მოისმინა და თხილის გადამმუშავებელი საწარმოც მოინახულა.


ბოლნისი

„აზიური ფაროსანა რთულად დასამარცხებელი მავნებელია. ერთობლივი ძალებით უნდა ვებრძოლოთ მავნებელს. სახელმწიფოს აქვს მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა, რათა მომავალი წლისთვის მავნებლის პოპულაცია შევამციროთ“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ქიმიური წამლობა მიმდინარეობს ზუგდიდის, სამტრედიის, აბაშის, ხობის, მარტვილის, სენაკის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების სოფლებში. რეგიონში სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალური ტექნიკაა მობილიზებული.

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტები:

• ჭყონდიდელის დასახლებაში, გრანელის ქუჩაზე, გზის რეაბილიტაციისთვის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს, რის შემდეგაც ტერიტორიაზე ასფალტის საფარი დაიგება.

• გზის კაპიტალური შეკეთება და სანიაღვრე სისტემის მოწყობა გრძელდება გომელაურის ქუჩაზე და მიმდებარედ შიდა ეზოებში.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში

• ბოლნისის მუზეუმის შენობა უკვე დასრულებულია, მიმდინარეობს სამუშაოების მეორე ეტაპი, რაც მოიცავს მუზეოგრაფიის შექმნას. უფრო კონკრეტულად კი, სამეცნიერო ჯგუფთან ერთად ნარატივის შემუშავებას.

პროექტის ავტორთა მიზანია, რაც შეიძლება სრულყოფილად გადმოიცეს ისტორია. გამოყენებული იქნება თანამედროვე მულტიმედიატექნოლოგიები, რათა მუზეუმში უწყვეტობის ეფექტი კიდევ უფრო კარგად იყოს წარმოდგენილი. მუდმივმოქმედ საგამოფენო დარბაზში ხუთი ძირითადი თემა იქნება წარმოდგენილი: პირველი, ეს არის გეოლოგია და დმანისი, მეორე დიდი ეტაპია ნეოლითი, სადაც მიწათმოქმედების განვითარების საფეხურები იქნება ნაჩვენები; მესამე თემა მიეძღვნება უძველეს მეტალურგიას; მეოთხე იქნება შუასაუკუნეები და ბოლო – მეხუთე თემა – მულტიკულტურული რეგიონი.

• ქალაქ ბოლნისში, სააკაძის ქუჩაზე ქვაფენილი იგება. ისტორიულ უბანში ქუჩის 600 გრძივი მეტრი ბაზალტის ქვით მოპირკეთდება. მოეწყობა ტროტუარები და სანიაღვრე ცხაურებიც. სამუშაოებზე ადგილობრივები არიან დასაქმებული. სააკაძის ქუჩის კეთილმოწყობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

რა არ შეუძლია ბიძინას და რა შეუძლია მიშას?

ნაციონალებმა ინტერნეტით პატრულის ყოფილი თანამშრომლის გიორგი ლომიძის მიმართვა გაავრცელეს, სადაც ლომიძე თავის დიდ ბატონს მიხეილ სააკაშვილსა და მის მომხრეებს მიმართავს და 41-პუნქტიან უსტარში ამბობს, რომ სააკაშვილს უამრავი სიკეთის მოტანა შეუძლია და შეეძლო საქართველოსთვის, აი, ბიძინას კი არ შეუძლია.

ჟივჟივებდნენ ნაცები და მათი თანამოაზრეები ინტერნეტში, მაგრამ რამდენიმე განსხვავებული შეხედულების მქონემ რომ უპასუხა მათ აბსურდულ და მოღალატურ კომენტარებს, უკან დაიხიეს.

„ნაცმოძრაობა“, რომელიც ქვების სროლით, გაყალბებით და შანტაჟით მოვიდა ხელისუფლებაში, ახლა ხანძრებით და ქვეყნის გადაწვით აპირებს არეულობის გამოწვევას. სხვანაირად ნაცებისა და მიშას რეინკარნაცია შეუძლებელია, ხოლო ყოფილი რიგითი პატრული გიორგი ლომიძე კვლავ მწარე ილუზიებში იმყოფება და ვიღაცა აღგზნებული ნაცის დაწერილ მიმართვას ამაყად აწერს ხელს და რადგან, ეტყობა, გამორჩათ, ახლა მე 5X5 პუნქტს დავუმატებ და წვრილად მოვახსენებ მას და სხვა ნაცებსაც, თუ რა შეუძლია მიშიკოს ჰალსტუხის ღეჭვის და მტვერში გორაობის გარდა.

მაშ, ასე:

1. ქიბარ ხალვაშის საწყობის დაწვა ბიძინას არ შეუძლია, მიშას კი შეუძლია!

2. უმოწყალოდ, საცერივით დახვრეტილ-დაფლეთილი შვილის საფლავზე მისული მამის აფეთქება ბიძინას არა, მაგრამ მიშას შეუძლია!

3. სამ დღეში დალის ხეობისა და ახალგორის რუსებისთვის ჩაბარება და გაყიდვა ბიძინას არა, მაგრამ მიშას და მის სამშობლოს გამყიდველ ჩარჩ-ვაჭრებს შეუძლიათ!

4. 120 დაკარგულ სოფელს ქვების გროვა რომ უწოდოს, ეს ბიძინას არა, მაგრამ მიშას შეუძლია!

5. იმის გამო, რომ სისხლიანი სპექტაკლი დაედგათ, თავი ბოევიკებად და კაი ტიპებად წარმოედგინათ, პატარა აჭარელი ბიჭები, თბილისში პირველად რომ იყვნენ, ნავთლუღში უმოწყალოდ რომ ჩაეხოცათ, ეს ბიძინას არა, მაგრამ მიშას და მის არამზადებს შეუძლიათ!

6. ქართველი ოფიცრები ზღვაში რომ გაეყვანათ, თავში ტყვია დაეჭედებინათ, ფეხებზე თოკები მოებათ, თოკებზე ქვები და ზღვაში გადაეგდოთ, ეს ბიძინას არ შეუძლია, მაგრამ მიშა სააკაშვილს და მის „ბიჭებს“ შეუძლიათ!

6. როინ შავაძის სასტიკად წამება და ასე ტანჯვაში სულის ამოხდენა ბიძინას არ შეუძლია, მაგრამ მიშას შეუძლია!

7. საკუთარი ჩასვრილის და მოღალატეობის გადასაფარავად სერგო თეთრაძის წამება და მოკვლა ბიძინას არა, მაგრამ მიშას შეუძლია!

8. სამეგრელოს სამალავებში მეგრელი კაცების წამება, გაუპატიურება და მერე დახოცვა ბიძინას არ შეუძლია, მაგრამ მიშას შეუძლია!

9. პატრიოტი, ქვეყანას შეწირული ქართველი მეომრების გვამების უპატრონოდ დაყრა შუა აგვისტოში ძაღლების, ღორების და ბუზების საჯიჯგნად და რუსთაველზე ტაშ-ფანდურის გამართვა ბიძინას არა, მაგრამ მიშას შეუძლია!

10. ქართველების მტრის ხახაში დატოვება ახალგორსა და ცხინვალში, ბიძინას არ შეუძლია, აი, მიშას კი შეუძლია!

11. საკუთარი მოსახლეობისთვის ხურჩაში ტერაქტის მოწყობა ბიძინას არ შეუძლია, მიშას კი შეუძლია!

12. ხალხის ძარცვა და ასე გამდიდრება, ქართველი ხალხის გატყავებით ოფშორებში ფულის დაბანდება, ნარკორეალიზაციით გამილიონერება, ბიძინას არა, მაგრამ მიშას შეუძლია!

13. საპროტესტო აქციების სისხლში ჩახშობა, ხალხის დარბევა-დასახიჩრება ბიძინას არა, მაგრამ მიშას შეუძლია!

14. პოლიციას რომ „ბადრის რაა?“ აყვირონ, „მიშა-მიშა“ აბღავლონ, ადამიანები ზომბებად აქციონ, ეს ბიძინას არ შეუძლია, მაგრამ მიშას შეუძლია!

15. რუსთაველზე „ბუტკების“ თავზე ნაწამები, ხორხამოცლილი გვამების შეყრა ბიძინას არა, მაგრამ მიშას შეუძლია!

16. 26 000 წამების და უნამუსობის ამსახველი ფაილის გადაღება და შენახვა ბიძინას არ შეუძლია, მიშას კი შეუძლია!

17. გაჭირვებული ოჯახის შვილების, მშიერი ბავშვების მიერ ჯართის მოგროვებისთვის 10–11 წლის მისჯა, მათი რეჟიმის მხარდამჭერი ბინძური წურბელები ე.წ. „ჯართის ბიზნესით“ რომ გამდიდრებულიყვნენ, ბიძინას არ შეუძლია, მაგრამ მიშას შეუძლია!

18. სვანეთში უბედურების დატრიალება, ოჯახის ამოწყვეტა და მათი სახლ-კარის დაბომბვა ბიძინას არ შეუძლია, მაგრამ მიშას შეუძლია!

19. ბათუმში „რევოლუციის“ მოწყობა ბიძინას არა, მაგრამ მიშას შეუძლია!

20. ქუთაისში „წარსულის გადმონაშთი“ მემორიალის აფეთქება და დედა-შვილის ნანგრევებში ჭყლეტა ბიძინას არა, მაგრამ მიშას შეუძლია!

21. 300 000-ზე მეტი ადამიანის ციხეში ჩაყრა და გაუსაძლის პირობებში მათი ტანჯვა ბიძინას არ შეუძლია, მაგრამ მიშას შეუძლია!

22. 190 000-მდე პრობაციონერი რომ ჰყავდეს, ბიძინას არ შეუძლია, აი, მიშას შეუძლია!

23. 100-ზე მეტი ადამიანის ჩახოცვა სპეცოპერაციების დროს, ლაფანყურის საშინელი ავანტურა, შს მინისტრმა და სხვა თანამდებობის პირებმა სპექტაკლები რომ მოაწყონ და „ორი“ გვამი მოითხოვონ, ეს ბიძინას არ შეუძლია, აი, მიშიკოს დამქაშებს კი შეუძლიათ!

24. მოდელირებული კომმარები რომ აჩვენონ ხალხს ტელევიზიებით და ფსიქოლოგიურად ატერორონ, ეს ბიძინას ა-რ შ-ე-უ-ძ-ლ-ი-ა, აი, მიშას კი შეუძლიათ!

25. პატრიარქის ვითომ ციანიდით მოწამვლა, მოხუცზე შანტაჟი და ეკლესიის ბილწვა, მართლმადიდებლობაზე შტურმით შეტევა ბიძინა ივანიშვილს არ შეუძლია, მაგრამ მიშა სააკაშვილს შეუძლია!..

მიშას კიდევ ბევრი ისეთი სისაძაგლის ჩადენა შეუძლია, რისი ჩადენაც ბიძინას არ შეუძლია და ამიტომაც არის სააკაშვილი დროულად ჩასასმელი გალიაში, რომ ბოროტებამ სიკეთეზე გაიმარჯვოს!..



ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

გოლიათებთან შეხვედრას ძველი დროის მოგზაურებიც აღწერენ თავიანთ მოგონებებში. 1766 წელს ლონდონს მიადგა გემი „დელფინი“, რომელსაც გენერალ-კაპიტანი ჯონ ბაირონი მართავდა (ჯორჯ ბაირონის ბაბუა). იმავე დღეს ქალაქში ჭორი გავრცელდა, რომ მეზღვაურებს სამხრეთ ამერიკის ნაპირებთან გოლიათები უნახავთ, თუმცა სხვა მეზღვაურებს ახალ ამბად არ მიუღიათ ინფორმაცია, რადგან გოლიათებთან შეხვედრა მათთვის ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა.

ჯერ კიდევ მაგელანის დროს 1520 წელს, მის გემზე მყოფი ანტონიო პიგაფეტი, რომელსაც ევალებოდა მოგზაურობის აღწერა, თავის ნარკვევებში მოგვითხრობს მათი ეკიპაჟის წევრებისა და სამხრეთამერიკელი გოლიათების რასის შეხვედრის ამბავს: „ჩვენ დავინახეთ გიგანტური ზომის შიშველი მამაკაცი რომელიც დახტოდა, მღეროდა და თავზე ნაცარს იყრიდა. კაპიტანმა ეკიპაჟის რამდენიმე წევრს უბრძანა გოლიათის მოძრაობების გამეორება რათა მათი ნდობა მოგვეპოვებინა. დავალების შესრულების შემდეგ ჩვენ შევძელით მასთან მიახლოება. გოლიათი კეთილგანწყობილი იყო ჩვენდამი. მან თითით ზეცისკენ მიგვითითა იმის ასახსნელად, რომ ჩვენ ზეციდან ჩამოსულები ვეგონეთ. ის ძალიან მაღალი იყო, ჩვენ ძლივს ვწვდებოდით მის თეძოსაც კი.“ მაგელანმა მათ „პატაგონიელები“ უწოდა, რაც „დიდ ფეხს“ ნიშნავს, ხოლო ადგილს – პატაგონია.

ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ გოლიათს სხვა გოლიათებიც შეურთდნენ, რომელთაც ფეხზე უზარმაზარი მოკასინები ეცვათ. ისინი აბორიგენი ტომის, ტეხუელჩის წარმომადგენლები ყოფილან. ასეთი საკვირველი არსებების გემზე აყვანისა და სამშობლოში ჩამოყვანის სურვილი ნებით რომ ვერ აისრულეს, სამი გოლიათი შეუტყუებიათ გემბანზე, ბორკილები დაუდიათ და გაუტაციათ. მოგზაურობას ეკიპაჟის 20 წევრი ემსხვერპლა და მათ ის სამი გოლიათიც მიჰყვა, რადგან ვერ გადაიტანეს გემზე არსებული გაუსაძლისი პირობები...

შემონახულია ბერ დონ ხუან დე არეისაგას ცნობა, რომელიც ასევე სამხრეთ ამერიკას ეხება: „ფეხით გავიარეთ ვიქტორიას ყურე და წავაწყდით პატაგონელთა უთვალავ ქოხს. პატაგონელი ქალებისა და მამაკაცების დანახვაზე ჩვენ არ ვიცოდით როგორ მოვქცეულიყავით, ამიტომ დავყარეთ იარაღები. მათაც მოგვბაძეს და დაყარეს თავიანთი მშვილდები. გავექანეთ ხელგაშლილნი მათ შესახვედრად და ისინიც გამოემართნენ ჩვენსკენ. შეხვედრისას აღმოჩნდა, რომ ჩვენ მათ თეძომდეც კი ვერ ვწვდებოდით. საკმაოდ თბილად მიგვიღეს. ჩვენ ვაჩუქეთ მათ ათასი წვრილმანი, მათ შორის ზანზალაკები, რომელიც წვივებზე გამოიბეს ბაწრით და ძალიან ახარებდათ მათი ჟღარუნი. ასევე მძივები, სარკეები და უამრავი რამ, ხოლო ისინი გაგვიმასპინძლდნენ უამრავი ნუგბარით, მათ შორის ცხენ-ირმის (ლოსის) უმი ხორცით და შემდეგ წყაროზე წაგვიყვანეს წყურვილის მოსაკლავად. ისინი ისეთი დიდები და ფეხმარდები იყვნენ, ვერც ერთი მარდი ცხენი ვერ დაეწეოდა. საკმაოდ მარჯვედ ისვრიან რამდენიმე ფუტის სიმძიმის ლოდს საკმაოდ დიდ მანძილზე. ძალზე ხალისიანი და კეთილი ხალხია. სახეზე სხვადასხვა ფერის საღებავს ისვამენ, ხოლო თავზე ძალიან ლამაზ, ჩიტის ფრთებისგან გაკეთებულ ქუდებს იხურავენ.“

გოლიათების შესახებ საუბარია არა მხოლოდ ბერძნულ მითებში. მათ შესახებ საუბარია ინდუიზმშიც, სკანდინავიურ მითოსშიც, იაპონურში, მაიას ტომის მითოსში, ირლანდიურ მითოსში, ბასკურშიც. ბასკების ყოფას შემორჩა თამაში „ლეპოტა“, რომლითაც გოლიათები, ჯენტილაკები (კეთილშობილები) ერთობოდნენ მოწყენილობისას – Mმთებს ისროდნენ... ბასკური მითებით, ისინი იმდენად დიდები იყვნენ რომ ჩვეულებრივ კვეთდნენ ზღვას. გოლიათები იყვნენ ძალიან ჭკვიანები. ისინი გაუჩინარდნენ მას შემდეგ რაც ცაზე მოციმციმე მნათობი ღრუბელი გამოჩნდა, ბასკების მიწაზე კი მათ მიერ აგებული უზარმაზარი მეგალითები დარჩა, მეგალითები, რომლებიც ასე ძალიან ჰგვანან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ციკლოპურ ნაგებობებს.

ყველაზე თვალსაჩინო და ამოუცნობი ეგვიპტური ნახატები, ძეგლები და ბარელიეფებია, სადაც ჩვეულებრივი ადამიანების გვერდზე გიგანტური არსებებია გამოსახული, რომლებიც ხშირად გვევლინებიან პირველი ფარაონების, ან სულაც ზეციდან მოვლენილი ღმერთების სახეებად. ეს ის ღმერთები არიან, რომლებმაც ადამიანებს ასწავლეს სხვადასხვა მეცნიერებები.

Aვიღაცები თუ ზეცაში უჩინარდებიან, ვიღაცები ზეციდან მოდიან... როგორც უკვე ვთქვით, საიდუმლოებით მოცული აღდგომის კუნძულის ლეგენდა გვაუწყებს, რომ კუნძულზე არსებული უზარმაზარი ქვის კერპები ზეციდან ჩამოვარდნილმა ღმერთებმა ააგესო...

ზეციდან ჩამოვარდნილები, მთვარიდან მოფრენილები, ღრუბელში მცხოვრებლები, ვარსკვლავების მკვიდრები, დედამიწაზე ცეცხლის ჩამომტანები...– ვინ იყვნენ ისინი, რომლებმაც დედამიწა გაანათლეს და მათ კვალს მთელ დედამიწაზე პოულობენ არქეოლოგები; რომლებიც ასე ხშირად გვხვდებიან ლეგენდებში, მითებში, ზღაპრებში, თუმცა მათ რაიმე წყაროდ არ მიიჩნევენ თანამედროვე, აკადემიურ-კლასიკური მეცნიერებები?

IV საუკუნიდან გამყარდა შეხედულება რომლის მიხედვით, „ღვთისშვილები“ არიან მართალი შეთის (ადამისა და ევას შვილის) შთამომავლები, ხოლო „კაცთა ასულები“ – დედაკაცები, კაენის მოდგმიდან (კაენიტები).

„ატლანტისის“ – ლათინური ფორმაა, ხოლო ორიგინალში პლატონთან ჟღერს როგორც „ატლანტიდა“, რაც ნიშნავს ატლანტის მოდგმის ქალაქს (ძვ. ბერძნულში „იდა“, „იედოს“ სუფიქსი გვარეობის, შთამომავლობის მოდგმის აღსანიშნავად გამოიყენება), თვით ატლანტი კი ბერძნულ მითოლოგიაში ერთ-ერთი გოლიათია ტიტანებიდან, რომელსაც ცის თაღი აქვს მხრებზე შემოდგმული.

ტიტანები დედამიწის ავტოხთონური რასა არ ყოფილან, ისინი სხვა სამყაროში ცხოვრობდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ტიტანმა პრომეთემ (პრომეთეუსმა) თავიანთ ბატონებს, ღმერთებს ცეცხლი (ცოდნა) მოჰპარა, ღმერთებსა და ტიტანებს შორის ბრძოლა გაჩაღდა, რასაც ბერძნული მითები ტიტანომაქიას უწოდებს (შედარებისთვის – იაჰვესა და ლუციფერის ბრძოლა; სხვადასხვა ხალხთა მითები). ბრძოლაში ტიტანებს 7 მეთაური ჰყავდათ (სხვადასხვა ბერძენ პოეტებთან სხვადასხვა რაოდენობაა, მაგრამ ამავდროულად, შედარებისთვის: დაცემული ანგელოზების 7 პრინცი, ლუციფერი – სინათლის მომტანი, 7 ატლანტიდის მეფე ჰერმესის ფილებიდან), რომლებიც დამარცხდნენ და ღმერთებმა ტარტაროზში ჩაყარეს (შეადარეთ დაცემულ ანგელოზთა დედამიწაზე გამოძევება), სადაც მათ ქალაქი ატლანტისი დააარსეს და ადამიანთა შორის დაიწყეს ცხოვრება... ისინი ადამიანთა ქალებთან ამყარებდნენ კავშირს, სანაცვლოდ კი თავიანთ ცოდნას უზიარებდნენ („ღვთისშვილები“, ნოეს ეპიზოდი, ენოქის წიგნი, შუმერების ანუნაკები, ასევე ძველი შუმერულ-ბაბილონური რიტუალი, როდესაც ქალს ტოვებდნენ მარდუქის ტაძარში რომ მარდუქს დაეორსულებინა). მათი კავშირის შედეგად ძლიერი და განვითარებული ჰიბრიდული რასა იბადებოდა... ტიტანების შთამომავლებმავე შექმნეს ჰომო ჯგუფის რასა მაიმუნისა და ადამიანის გენომისგან, როგორც მონები, რათა მათთვის ემუშავათ...

ატლანტების რასა კვლავ მოძლიერდა, რაც ღმერთებს არ გამორჩენიათ და ატლანტების რასის განადგურება განიზრახეს. რათა არ დაეშვათ მათი აჯანყება, დედამიწას წარღვნა მოუვლინეს და ატლანტისი ერთ ღამეში გაანადგურეს, გადარჩა მხოლოდ უკანასკნელი ატლანტი-დევკალიონი, ბიბლიური ნოე (ჰერმესის ფილებს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება, ეგვიპტური თოთი და ნოე იდენტური პიროვნებებია), რომელიც მეტალის ხომალდით გადაურჩა წარღვნას (ბიბლიის ქართულ თარგმანში წერია რომ კიდობანი აგებული იყო ურთხმელის ძელებისგან, ხოლო სხვადასხვა თაგმანებში იხსენიება „ულპობელი ძელები“, ანუ მეტალის კონსტრუქცია; რაც შეეხება არარატის მთას, ეს სახელი გვიან არის ჩამატებული ბიბლიაში) და თან იმდროინდელი დედამიწის გენოფონდიც გადაარჩინა დნმ-ის სახით...

წარღვნის შემდეგ დევკალიონ-ნოეს შთამომავლებმა კიდევ ერთხელ სცადეს აეშენებინათ ახალი ცივილიზაცია, რასაც ბიბლიაში სიმბოლიკურად ბაბილონის გოდოლი განასახიერებს, მაგრამ მაშინდელი ეკოსისტემა შეიცვალა, ისინი აღარ ცოცხლობდნენ როგორც ადრე; „ზებუნებრივ“ უნარებსაც კარგავდნენ, რომელთა შორის უკანასკნელი „ტელეპატია“ იყო. დიახ! „გოდოლის“ მშენებლები ერთ ენაზე სწორედ ასე ლაპარაკობდნენ, აზრობრივად, სიტყვების გარეშე. ღმერთმა კი არ აურია ენები, მათ ეს უნარი დაკარგეს და ურთიერთობა ვერბალური კომუნიკაციით შეცვალეს... შემორჩა მხოლოდ მეგალითები დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, როგორც უკანასკნელი, წარუმატებელი მცდელობა ატლანტების ცივილიზაციის აღდგენისა.

რადგან უაღრესად საინტერესოა ფაქტია და „დევკალიონ-ნოე“ ვახსენეთ, რომელსაც ყველა კულტურაში, თუნდაც ათასობით კილომეტრით იყოს დაშორებული ერთმანეთისგან პროტოტიპი ჰყავს, ორიოდე სიტყვა ვთქვათ. ამერიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ხალხების, ბერძნულ, შუმერულ, ჩინურ და ა.შ მსოფლიო მასშტაბით გაფანტულ მითოლოგიებში მეტ-ნაკლებად ასახულია ბუნებრივი კატაკლიზმის ბუნდოვანი ისტორია.

შუმერულ მითოლოგიაში ბიბლიური ნოეს მსგავსი რამდენიმე პირი არსებობდა რომელთა შორის გამორჩეულია უთნაფიშთიმი, რომელმაც ცოლთან ერთად ააშენა კიდობანი და შესაბამისად, წარღვნას მხოლოდ ის გადაურჩა;

ხმელთაშუა ზღვაში, კუნძულ თერაზე ვულკანური ამოფრქვევის შედეგად გამოწვეული კატასტროფის დროს კიდევ ერთი გმირი ჩნდება, ამჯერად ნოესა და უთნაფიშთიმის მსგავსი, დევკალიონი, რომელიც იგივე ისტორიას იმეორებს – საკუთარი ხელით ააგო კიდობანი და ცოლთან ერთად გაექცა უბედურებას. ბერძნული ლეგენდის თანახმად, წარღვნა ზევსმა მოახდინა ბრინჯაოს ხანის ხალხის გასანადგურებლად. ეს შეიტყო პრომეთემ, რომელმაც თავისი შვილი, დევკალიონი გააფრთხილა და კიდობნის აგება ურჩია. ცხრა დღე-ღამე ცოლქმარი წყალზე ტივტივებდა სანამ პარნასამდე არ მიაღწიეს. დევკალიონმა და მისმა ცოლმა ადამიანთა მოდგმის განახლების სურვილი გამოთქვეს. ზევსმა მათ ჰერმესის (ან ორაკულის) პირით უბრძანა ზურგსუკან „დიადი სამშობლოს ძვლების გადაყრა“. Dდევკალიონი მიხვდა, რომ „დიადი მშობელი“ დედამიწა იყო, ხოლო მისი ძვლები – ქვები. დევკალიონის მიერ ზურგსუკან ნასროლი ქვებისგან მამაკაცები წარმოიშვნენ, ხოლო მისი ცოლის ნასროლისგან – ქალები...

(გაგრძელება იქნება)

ჭრელი გვერდი

ბიოლოგებმა აცტეკთა ცივილიზაციის დაღუპვის მიზეზი გააჟღერეს

აცტეკთა ცივილიზაცია ერნან კორტესის კონკისტადორების მიერ მექსიკის დაპყრობიდან 20 წლის შემდეგ უკვალოდ გაქრა სალმონელოზის ეპიდემიის გამო, რომელმაც აცტეკებისა და სხვა ინდიელების 80% გაანადგურა, – ნათქვამია სტატიაში, რომელიც **biorxiv.org**-ის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში გამოქვეყნდა.

დღეისათვის ისტორიის წიგნებსა და სამეცნიერო სტატიებში ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ სამხრეთ და ჩრდილო ამერიკის ინდიელთა რაოდენობა ძალიან შემცირდა მე-15–16 საუკუნეებში, კონკისტადორებისა და სხვა ევროპელი მოგზაურების იქ შეღწევის შემდეგ. კერძოდ, ანთროპოლოგი ჰენრი დობინსი ადრეც წერდა, რომ კონკისტადორების მიერ ჩამოტანილმა დაავადებებმა, 1492 წლიდან დაწყებული, ამერიკის მოსახლეობის 95% გაანადგურა.

ზოგი მეცნიერი ამტკიცებს, რომ აცტეკთა იმპერიის 97% და პერუს მოსახლეობის 90% ევროპიდან შეტანილმა ინფექციებმა გაანადგურა.

ცნობილმა პალეოგენეტიკოსმა იოჰანეს კრაუზემ (ადამიანის ისტორიის ინსტიტუტი, იენა, გერმანია) და მისმა კოლეგებმა მექსიკის სამხრეთით მდებარე ორ სასაფლაოზე 1540–1550 წლებში დასაფლავებულთა ჩონჩხების შესწავლის შედეგად დაასტურეს, რომ ინდიელები ევროპიდან შეტანილმა დაავადებებმა გაანადგურეს.

აქ, მთიან სოფლებსა და ქალაქებში ტეპოსკოლულასა და იუკუნდაში ცხოვრობდნენ მიშტეკები, რომლებიც აცტეკთა იმპერიაში შედიოდნენ. მათ ჰქონდათ განვითარებული დამწერლობა, ოქროსა და ძვირფასი თვლებისგან საიუველირო სამკაულების დამზადების კულტურა და ტრადიციები. მიშტეკებიც ესპანელების მიერ დაპყრობიდან 30–40 წლის შემდეგ გაქრნენ.

იმ დროის ჟამთააღმწერლები ახსენებენ რაღაც იდუმალ დაავადებას, რომელმაც ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

როდესაც კრაუზე და მისი კოლეგები სხეულების ნარჩენებს შეისწავლიდნენ, მათ იპოვეს პასუხი ამ ისტორიულ გამოცანაზე – ძვლებსა და კბილებში არსებული ბაქტერიების დნმ-ის ფრაგმენტების შესწავლის შედეგად დაადგინეს, რომ ეს დაავადება ჩვეულებრივი ევროპული სალმონელოზი გახლდათ.

სალმონელოზის ის შტამი, რომელმაც ინდიელები გაანადგურა, დედამიწაზე დღესაც არსებობს, მაგრამ ამ დაავდებით ძირითადად აზიისა და აფრიკის ღარიბი ქვეყნების მოსახლეობა ავადდება.

ეს დაავდება ნირვეგიაში გაჩნდა დაახლოებით მე-12 ს-ში. ეს ინფექცია ლეტალურია – თუ არ იმკურნალეს, დაავადებულთა 10–15% იღუპება.

ინდიელებისთვის ცნობილი არ იყო ეს დაავდება, მათი იმუნიტეტი ვერ გაუმკლავდა ამ ინფექციას. ამიტომ დაავადების ლეტალურობა უფრო მაღალი იყო, ვიდრე ჩვეულებრივ.

როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, რომ აცტეკთა იმპერიის სხვა ტომებიც შეიძლება ამ მიზეზით გამქრალიყო, რადგან მათ ქრონიკებშიც ასეთივე დაავადებაა მოხსენიებული.

ტურისტებმა წარმატების ერთ-ერთ ფაქტორად მოგზაურობა დაასახელეს

სხვადასხვა ქვეყნების ტურისტები თვლიან, რომ მოგზაურობა ეხმარება ადამიანებს მიაღწიონ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და სამსახურში. **Booking.com**-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, რომელშიც 15 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, გამოკითხულთა 45-მა პროცენტმა განაცხადა, რომ ის ცოდნა და უნარები, რაც მოგზაურობისას შეიძინეს, ეხმარება მათ ურთიერთობების აწყობასა და კარიერულ წინსვლაში.

სპეციალისტებმა 20 ქვეყნის 15 ათასი მოქალაქე გამოკითხეს. რესპონდენტების 13 პროცენტმა, რომლებიც მოგზაურობით იყვნენ შთაგონებულნი, იშოვეს ახალი სამსახური, დაახლოებით ტურისტების იგივე რაოდენობამ შეძლო პარტნიორთან ურთიერთობის გაუმჯობესება.

ტურისტთა 65 პროცენტის თქმით, ახალი ქვეყნის ან ქალაქის მონახულება მათ ეხმარება, უფრო თავდაჯერებული გახდნენ. 61-მა პროცენტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ის ადამიანები, ვინც ბევრს მოგზაურობს, უფრო საინტერესონი არიან მათზე, ვისაც მოგზაურობა არ იტაცებს.

გამოკითხულებმა ასევე განაცხადეს, რომ მოგზაურობა მათ უფრო მეტ სიხარულს ანიჭებს, ვიდრე სიყვარული, ბავშვები, სამუშაო და მატერიალური კეთილდღეობა.

თუ გინდა დიდხანს იცოცხლო, ღამით არ ჭამო!

ამერიკელი მკვლევარების მიერ მიღებული მონაცემებით, საშუალო ასაკის ადამიანებმა უნდა შეამცირონ კალორიების მიღება, ასევე უარი უნდა თქვან საღამოს ჭამაზე. ეს შეანელებს დაბერების პროცესს, შეამცირებს კიბოს, დიაბეტისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს. ამ დასკვნებამდე მკვლევარები ექსპერიმენტების შედეგად მივიდნენ, რომლებსაც მაკაკა-რეზუსებზე ატარებდნენ. ამ მაიმუნების გენომი 93%-ით ემთხვევა ადამიანისას. გარდა ამისა, ამ ცხოველების ანატომია, ფიქიოლოგია, ნევროლოგია, ენროკრინოლოგია და იმუნოლოგია ძალიან ჰგავს ადამიანისას. დაბერებასთან დაკავშირებული პროცესებიც ისევე მიმდინარეობს მათ ორგანიზმში, როგორც ადამიანებში.

პირველი ასეთი ექსპერიმენტები ჯერ კიდევ 2009 წელს ჩატარდა. მაკაკების საკვებიის კალორიულობა ხელოვნურად იყო შემცირებული 20%-ით, ამასთან, საღამოს ხუთი საათიდან დილის რვა საათამდე ცხოველებს საკვებს არ აძლევდნენ. აღმოჩნდა, რომ ის მაიმუნები, ვინც ასეთ დიეტაზე ჰყავდათ, საშუალოდ 9 წლით მეტს ცოცხლობენ, ვიდრე დანარჩენები (მათი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 26 წელია). გარდა ამისა, „ნაშიმშილევი“ მაიმუნები უფრო იშვიათად ავადდებოდნენ კიბოთი და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით, უფრო დაბალი ჰქონდათ ინსულინის ჰორმონის მოქმედების მიმართ ქსოვილების მდგრადობის განვითარების რისკი, რაც დიაბეტის წინაპირობაა. მკვლევარები მაშინ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კალორიულობის შემცირება დაბერების პროცესს ანელებს.

თუმცა, დაბერების ნაციონალური ინსტიტუტის მეცნიერების მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა ეს დასკვნები ეჭვქვეშ დააყენა, რადგან ვერ დაადასტურეს, რომ დაბალკალორიული კვება რაიმე გავლენას ახდენდა სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.

ახლა მეცნიერთა ეს ორი ჯგუფი გაერთიანდა და გააანალიზეს მონაცემები, რომლებიც მრავალი გამოკვლევების შედეგად დაგროვდა, ასევე ის შედეგებიც, რაც ორივე ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევებით მოიპოვეს.

ბოლოს მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ კალორიების შემცირება და საღამოს საათებში საკვებზე უარის თქმა ნამდვილად ახანგრძლივებს სიცოცხლეს, იცავს დაავადებებისგან და დაბერების პროცესს ანელებს. კვების ასეთი რეჟიმის დაცვა 30 წლის შემდეგ უნდა დაიწყოთ.

„მშიერ დიეტაზე“ გადასვლა განსაკუთრებით მამაკაცებისთვისაა სასარგებლო, რადგან საშუალო ასაკში ისინი ქალებზე ადვილად იმატებენ წონაში, რასაც დიაბეტისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისკენ მივყავართ.

მეცნიერებმა სამუშაო კვირის დაშვებული ხანგრძლივობა გამოთვალეს

ავსტრალიელი მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კვირაში 39 საათზე მეტ ხანს მუშაობა საზიანოა.

დასკვნები მეცნიერებმა დაახლოებით რვა ათასი ავსტრალიის მოქალაქის მონაცემთა ანალიზის შედეგად გააკეთეს, რომელთა ასაკი 24–65 წელი იყო. მათი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების შესახებ მონაცემები რამდენიმე წლის განმავლობაში გროვდებოდა – იკვლევდნენ, რამდენად დაკავებული იყვნენ სამსახურსა და სახლში, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას და კეთილდღეობის დონეს.

შედეგად, მკვლევარებმა დაადგინეს, რამდენად იყო ადამიანთა კეთილდღეობა დამოკიდებული მათი სამუშაო კვირის ხანგრძლივობაზე. თუ ისინი ცოტას მუშაობდნენ, მათი ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელო იყო, ან საკუთარ უსარგებლობაზე ფიქრობდნენ. ვინც ბევრს მუშაობდა, მათ ფიზიკურ და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ექმნებოდათ. სამუშაო კვირის ოპტიმალური ხანგრძლივობა 39 საათია. ამ ზღვარის გადალახვის შემთხვევაში ადამიანის ფსიქიკა ზარალდება.

ეს ციფრი ინდივიდუალური ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება შეიცვალოს, როგორიცაა ძილის, კვების მოთხოვნილება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა. შ.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ომი თუ მშვიდობა?

წლევანდელი შემოდგომა არანაკლებ ცხელი იქნება, ვიდრე ზაფხული. ამჯერად პოლიტიკური ამინდი გვაქვს მხედველობაში. ჩრდილოეთ კორეის ლიდერს კიმ ჩინ ირს მსფოლიოს პოლიტოლოგები გაუწონასწორებელ ადამიანად მიიჩნევენ, სავარაუდოდ, სამართლიანადაც. მისი საქციელი ცელქი ბავშვის მოქმედებას გვაგონებს, რომელიც ასანთით დენთით სავსე კასრთან თამაშობს და არავინ უწყის, როდის გააჩენს ხანძარს, რომელიც კატასტროფით დასრულდება.

მიუხედავად ჩრდილოეთ კორეისთვის დაწესებული სანქციებისა, ქვეყანაში ინტენსიურად ატარებენ ბალისტიკური რაკეტების გამოცდებს. წლეულს, სულ მცირე, 15-ჯერ მაინც გამოსცადეს იარაღი. ბოლო გამოცდისას მათმა რაკეტამ დაუბრკოლებლად გადაუფრინა იაპონიას და ზღვაში ჩავარდა.

მთავარი სიურპრიზი კორეელებმა მსოფლიო საზოგადოებას შაბათს მიართვეს, როდესაც წყალბადის ბომბის წარმატებული გამოცდის

შესახებ განაცხადეს. ხელოვნურად გამოწვეული მიწისქვეშა ბიძგები იაპონიაში და სამხრეთ კორეაში დაფიქსირდა.

ბირთვული იარაღის გამოცდამ მსოფლიოს საზოგადოება საგონებელში ჩააგდო. იაპონიის პრემიერ-მინისტრი ტელეფონით სასწრაფოდ დაუკავშირდა რუსეთის პრეზიდენტს, რომელიც ჩინეთში იმყოფება. სამხრეთ კორეამ საბრძოლო მზადყოფნა გამოაცხადა. უკვე მეორე დღეს სწავლებაც ჩაატარეს „დედამიწა-დედამიწა„ ტიპის რაკეტების გამოყენებით. ამასთან, სამხრეთელებმა განაცხადეს, რომ აშშ-ის დახმარებით გააძლიერებენ სამხედრო შეიარაღებას, რადგან ბირთვული იარაღის გამოცდა სულელურ ნაბიჯად შეაფასეს.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მეტისმა არ გამორიცხა სამხედრო მოქმედების დაწყება რეგიონში. მისი განცხადებით, ეს წინადადება გააცნეს პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, რომელიც დეთანხმა მათ წინადადებას. თავის მხრივ, ტრამპს გადაწყვეტილი აქვს, დაუწესოს სანქციები იმ ქვეყნებს, რომლებიც ნებისმიერი ფორმით თანამშრომლობენ ჩრდილოეთ კორეასთან.

პოლიტოლოგების განცხადებით, ტრამპი რთულ პირობებში ჩავარდა. იმ შემთხვევაში, თუ შეასრულებს დანაქადს და საბრძოლო მოქმედებებს დაიწყებს რეგიონში, წამგებიანი იქნება, თუ თავს შეიკავებს, კვლავ აიმხედრებს მოწინააღმდეგეებს, რომლებიც მრავლად ჰყავს, როგორც კონგრესში, ასევე თვით თეთრ სახლშიც. ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ თავდაცვის მინისტრთან არსებულ უთანხმოებაზე. ტრამპმა სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს აუკრძალა შეიარაღებულ ძალებში სამსახური, თუმცა მეტისმა, ფაქტობრივად, გააუქმა მისი ბრძანება. მიმომხილველები იმასაც აღნიშნავენ, რომ ტრამპმა მთელ რიგ ქვეყნებთან გააფუჭა ურთიერთობა. საბრძოლო მოქმედების დაწყების შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, მოკავშირეების გარეშე დარჩეს.

როგორც ამერიკული პრესა აღნიშნავს, ტეხასში სტიქიურმა უბედურებამ ქვეყანა კოლოსალურად აზარალა. ტრამპს გადაწყვეტილი აქვს, კონგრესს მიმართოს, რათა დამატებით სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის 8 მილიარდი დოლარი გამოუყოონ. რას გადაწყვეტენ კონგრესმენები, ძნელი სათქმელია.

კორეის ნახევარკუნძულზე საომარი ვითარების, მით უფრო, ბირთვული იარაღის გამოყენება, რეგიონისთვის შეიძლება კატასტროფული შედეგით დამთავრდეს. ბირთვული იარაღის გამოყენებით იმუქრებიან ამერიკელები და ჩრდილოეთ კორეის ლიდერები. სამხედრო ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რადიაცია, ადვილი შესაძლებელია, მსოფლიოში გავრცელდეს, რადგან ერთი-ორი გასროლილი რაკეთით არ დასრულდება კონფლიქტი. განსაკუთრებით იაპონელებს აშინებთ რადიაცია, რადგან საკუთარ ქვეყანაზე აქვთ გამოცდილი ატომური ბომბის შედეგი.

სამხედრო ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ჩრდილოელებს არ გაუჭირდებათ საარტილერიო დანადგარებით დაბომბონ სეული, რომელიც თავისი 20-მილიონიანი მოსახლეობით გამყოფი საზღვრიდან სულ რაღაც 25 კილომეტრში მდებარეობს. ჩრდილოელთა ფანატიზმიდან გამომდინარე, ბოლო ჯარისკაცამდე იბრძოლებენ, რასაც ვერ ვიტყვით სამხრეთელებზე. თანამედროვე ომების ტექნოლოგიებიდან გამომდინარე, მშვიდობიან მოსახლეობაში იქნება აურაცხელი მსხვერპლი. თუ ვინმეს არ აწყობს კორეაში საბრძოლო მოქმედებები, პირველ რიგში, სამხრეთელ ბიზნესმენებს და მძლავრი კონცერნების მფლობელებს. ჩრდილოელებს ხომ დასაკარგი, ფაქტობრივად, არაფერი აქვთ.

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რეგიონის ორი დიდი ქვეყნის – ჩინეთისა და რუსეთის პოზიცია. თუმცა, ორივე ქვეყნის ხელმძღვანელები კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარებას ემხრობიან და მოუწოდებენ კიდეც დაპირისპირებულებს. ძნელი სათქმელია, ვის მხარეს დაიჭერენ ომის შემთხვევაში,. ჩინეთის კუნძულები და დიდი ტერიტორია, ფაქტობრივად, ესაზღვრება კორეის ნახევარკუნძულს. გასათვალისწინებელია რასობრივი იდენტობის ფაქტორი. ამასთან, ჩინეთსა და აშშ-ის შორის უთანხმოება თითქმის ყოველდღიურად იზრდება.

ამერიკა-რუსეთს შორის ურთიერთობა, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ დაძაბულია. ვითარება კიდევ უფრო მას შემდეგ გამწვავდა, როდესაც ამერიკულმა მხარემ სან-ფრანცისკოში საკონსულოს დახურვა მოსთხოვა. ამასთან ერთად, ვაშინგტონში და ნიუ-იორკში დახურეს რუსეთის სავაჭრო წარმომადგენლობა, დიპლომატიური იმუნიტეტიც მოუხსნეს. ამის გამო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა თავხედური გადაწყვეტილება უწოდა და აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დეგრადაციად შეაფასა.

რუსეთის ფაქტორი გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოებითაც. ჩრდილოეთ კორეასთან სულ ახლოს მდებარეობს რუსეთის ერთ-ერთი მთავარი პორტი ვლადივოსტოკი, სადაც ბაზირებს წყნარი ოკეანის სამხედრო-საზღვაო ფლოტი. საომარი ვითარებისას შემთხვევით ქალაქში თუნდაც ერთი ჭურვი რომ ჩავარდეს, ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება შემდეგ მოვლენები.

სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში მოუხდება დონალდ ტრამპს, მიიღოს სწორი გადაწყვეტილება – აწარმოოს ომი, თუ იფიქროს მშვიდობაზე.

გია ბურდული
551 71 27 07

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

– რა დოკუმენტები უნდა დავურთოთ სარჩელს?

– რეპრესირებული პირის მიერ სარჩელის შეტანის შემთხვევაში სარჩელს უნდა დაერთოს:

სასამართლოს გადაწყვეტილება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ;

პირველი რიგის მემკვიდრის მიერ სარჩელის შეტანის შემთხვევაში სარჩელს უნდა დაერთოს:

სასამართლოს გადაწყვეტილება გარდაცვლილი პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ;

• მემკვიდრეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამკვიდრო მოწმობა, ხოლო თუ სამკვიდრო მოწმობის აღება შეუძლებელია, საჭიროა რეპრესირებული პირის გარდაცვალებისა და პირველი რიგის მემკვიდრის დაბადების მოწმობები);

• თუ არსებობს რამოდენიმე პირველი რიგის მემკვიდრე და ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას ეს მემკვიდრეები უთმობენ ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს, სარჩელს უნდა დაერთოს სანოტარო წესით დამოწმებული გარიგება ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ. მაგალითად, თუ გარდაცვლილ რეპრესირებულ პირს ყავს 4 პირველი რიგის მემკვიდრე, შეიძლება სარჩელი შეიტანოს ოთხივემ ერთად ან სამმა მათგანმა, ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება სანოტაროდ დამოწმებული გარიგების საფუძველზე გადასცეს ერთ-ერთ მათგანს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ვერ ხერხდება ზემოაღნიშნული გარიგების შედგენა და სარჩელი ყველა პირველი რიგის მემკვიდრეს არ შეაქვს, მაშინ სარჩელში უნდა მიეთითოს სხვა პირველი რიგის მემკვიდრეთა სახელი, გვარი, მისამართი და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია.

• შინაგან საქმეთა ან ყოფილ უშიშროების სამინისტროს არქივიდან ცნობა განხორციელებული რეპრესიის სიმძიმისა და რეაბილიტაციის შესახებ, თუ ამ გარემოებების შესახებ ზუსტად არ არის აღნიშნული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

* * *

– რა გარემოებებზეა დამოკიდებული ფულადი კომპენსაციის ოდენობა?

– კანონის თანახმად, ფულადი კომპენსაციის ოდენობა დამოკიდებულია რეპრესიის ფორმის სიმძიმესა და ხანგრძლივობაზე, აგრეთვე, რეპრესირებული პირის ან მისი პირველი რიგის მემკვიდრის ასაკზე, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სხვა ობიექტურ ფაქტორებზე. შესაბამისად, სარჩელს შეიძლება დაერთოს ამ გარემოებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები (მაგალითად, ჯანმრთელობის ცნობა, სოციალურად დაუცველის მოწმობა, რეპრესირებულისათვის ქონების ჩამორთმევის ცნობა და ა.შ. ასევე ფოტოები, სტატიები და სხვა ცნობები, თუ ეს ინფორმაცია რეპრესიებს უკავშირდება).

სასამართლო ხარჯები:

პირები, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს მსხვერპლად ცნობის ან კომპენსაციის მიღების მოთხოვნით, არ იხდიან საქმის განხილვისთვის დადგენილ სახელმწიფო ბაჟს.

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

• კანონის თანახმად, რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის რამდენიმე მემკვიდრეზე გაიცემა ერთიანი ფულადი კონპენსაცია; ანუ ფულადი კომპენსაციის ოდენობაზე გავლენას არ ახდენს პირველი რიგის მემკვიდრეთა სიმრავლე.

• თუ პირი თავადაც არის რეპრესირებული და ასევე არის გარდაცვლილი რეპრესირებულის პირველი რიგის მემკვიდრე, მიზანშეწონილია ასეთმა პირმა კომპენსაცია მოითხოვოს ორი ან მეტი საფუძვლით, რათა უფრო მეტი თანხა მიიღოს.

პატივცემულო მკითხველო, მე შევეცადე სრულად მომეწოდებინა ინფორმაცია თქვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით. ამ ინფორმაციიდან, რომელიც კანონის მოთხოვნიდან გამომდინარეობს, თქვენ გეკუთვნით გარდაცვლილი მშობლების საკომპენსაციო თანხა, რადგან ბრძანდებით მათი პირველი რიგის მემკვიდრე. რაც შეეხება თქვენი გარდაცვლილი დის საკომპენსაციო თანხის მიღებას, კანონი ამ ნაწილში გეუბნებათ უარს, რადგან და არ არის დის პირველი რიგის მემკვიდრე. ასეთი სახის კომპენსაციებს, კანონის მიხედვით, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მიიღებენ მხოლოდ პირველი რიგის მემკვიდრეები-მშობელი, მეუღლე და შვილები / და და ძმა წარმოადგენენ მეორე რიგის მემკვიდრეებს/.

* * *

– ვცხოვრობ ბორჯომში. გამგეობაში შევიტანე განცხადება საბინაო საკითხთან დაკავშირებით. როდესაც ვიკითხე, თუ ვის ეწერა განცხადება, მითხრეს, რომ პასუხს მივიღებდი 10 დღეში, მაგრამ ვის ეწერა განცხადება, არ მითხრეს. როცა მოხდება ჩემი განცხადების განხილვა, მას არ ერთვის შესაბამისი დოკუმენტები. რის მიხედვით განიხილავენ, თუ არ მეტყვიან, ვის აწერია განცხადება და ვის უნდა წარვუდგინო ეს საბუთები?

– გამგეობამ თქვენ კანონიერი პასუხი გაგცათ. პასუხს მიიღებთ წერილობით 10 დღეში. კონკრეტულად ვის აწერია განცხადება, ამ კითხვაზე გამგეობა არ გაგცემდათ პასუხს, რადგან განცხადების განხილვა უნდა მოხდეს კომისიური წესით. რაც შეეხება დოკუმენტებს, თქვენ აღნიშნულნი უნდა დაგერთოთ განცხადებისათვის წარდგენის დროს.მშობელი, მეუღლე და შვილები.

„ივერონი – ხინკლის სახლი“ – სახალხო ადგილი თბილისში

რუსთაველის გამზირზე რესტორან „ივერონი – ხინკლის სახლს“ უკვე ორი წელიწადია დარგის ლიდერის წოდებით აჯილდოებენ. იმ მძლავრი კონკურენციის პირობებში და ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას ახერხებს **„ივერონი – ხინკლის სახლის“** ხელმძღვანელი ქალბატონი **ნინო თევდორაშვილი**.

ყველას, ვისაც ჰქონია ამ რესტორანში სტუმრობის შესაძლებლობა, შინ კმაყოფილი დაბრუნებულა და ეს, უპირველესად, ქალბატონი ნინოს და მისი შესანიშნავი კოლექტივის დამსახურებაა.

ისე, როგორც ქალბატონი ნინო, უაღრესად საინტერესო ადამიანი არ ჰგავს ხინკლის სახლის ჩვეულებრივ დირექტორს, ასევე არ ჰგავს „ივერონი – ხინკლის სახლი“ ისეთ სახინკლეს, როგორც წარმოგიდგენიათ.

რესტორანი გემოვნებით გაფორმებული ინტერიერით, მომსახურების მაღალი დონით, პროფესიონალი მუსიკოსებით ყოველ დღე დღესასწაულს სთავაზობს სტუმრებს. აქაურობა სცენას უფრო ჰგავს, ვიდრე კვების ობიექტს

ვინ არის ამ სახლის დიასახლისი, როგორ შექმნა თავისი ბიზნესი, რას ფიქრობს და რა მისწრაფებები აქვს, ამის შესახებ „საერთო გაზეთს“ თავად **ნინო თევდორაშვილი** ესაუბრა.

ვარ თუ არა ჩვეულებრივი სელბრითი?

სამწუხაროდ, საქართველოში ისე ხდება, რომ თუ ცნობადი არ ხარ, ეს ნიშნავს, რომ არა ხარ კარგი. ამიტომ ნებისმიერი რამე უნდა აპიარო, თუმცა მე არ მომწონს ზედმეტი ეპატაჟურობა. მირჩევნია, საქმე წყნარად ვაკეთო და ასე გავხდე საჭირო ადამიანებისთვის. შეიძლება ამიტომაცაა ჩვენი კომპანია, ჩვენი ბრენდი „ივერონი – ხინკლის სახლი“ საკმაოდ პოპულარული რომ არის არა მხოლოდ საქართველოში, კავკასიის მასშტაბითაც. ძალიან ხშირად გვირეკავენ ბაქოდან და ერევნიდან და მაგიდების დაჯავშნას გვთხოვენ საახალწლოდ და სხვა დღესასწაულებზე, ან რაიმე ღონისძიებაზე ჩამოდიან და წინასწარ ჯავშნიან ჩვენთან ადგილებს.

საღამოობით რესტორანში მუსიკალური ჯგუფი უკრავს, რომელსაც მდიდარი და მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვს.

მოკლედ, ჩვენთან არა მარტო უმაღლესი ხარისხის კერძებით შეიძლება ისიამოვნო, არამედ დაისვენო და კარგი მუსიკით დატკბე.

„ივერონი – ხინკლის სახლი“ – სახალხო ადგილი

დიახ, რაღაცნაირი სახალხო ადგილი გახდა ჩვენი დაწესებულება. ყველა ფენის, გემოვნების, მოთხოვნილების ადამიანი მოდის აქ. ყველა ერის წარმომადგენლები, რომლებსაც კვების თავისებური კულტურა და ტრადიცია აქვთ.

ეს დაწესებულება 2012 წელს შევისყიდე, განვაახლე ინტერიერი, მენიუ და როგორც იცით, უკვე მერამდენე წელია, დარგის ლიდერის წოდებას გვანიჭებენ.

ზემოთ ვსაუბრობდი რეკლამაზე და ამ რეკლამით მოგვრილ ცნობადობაზე. არავითარი რეკლამა არასდროს არ გაგვიკეთებია. კომპანიის ოფიციალური ფეისბუქ-გვერდიც კი არ გვქონია.

გაჯეტდამოკიდებულნი და ხინკლის სახლის პოპულარობა ინტერნეტსივრცეში

არასდროს მიფიქრია ინტერნეტით, მით უფრო ფეისბუქით, კომპანიისთვის პოპულარობა მომეხვეჭა, ვერ ვამჩნევდი ამის საჭიროებას, სანამ ვალერი მელაძის კონცერტზე არ მოვხვდი ფილარმონიაში.

ჩემს წინ შუახნის ქალბატონები ისხდნენ, რომლებიც მთელი კონცერტის განმავლობაში პირდაპირ აყურებინებდნენ ახლობლებს ტელეფონებით კონცერტს. ვიფიქრე, მგონი, ძალიან ჩამოვრჩი, ჯობს მეც მეტად ვიაქტიურო ამ კუთხით-მეთქი. მაშინ დავიწყე ფეისბუქ-გვერდის შექმნაზე ფიქრი. თუმცა რეკლამა კარგია, მაგრამ მომსახურების ხარისხი თუ რეკლამის შესაბამისი არ იქნა, საქმე წინ ვერ წავა.

მე – კულინარი და – მენეჯერი

ძალიან გემრიელ კერძებს ვამზადებ. პირადად ჩემთვის კულინარია ხელოვნებაა, რომელიც თავის თავში ბევრ დარგს აერთიანებს.

ყოველთვის მიყვარდა სხვადასხვანაირი კერძების მომზადება. შეიძლება ამანაც იქონია გარკვეული გავლენა ჩემს დღევანდელ საქმიანობაზე.

მოვედი თუ არა, შევქმენი საფირმო კერძები.

სხვაგან ვერ მიირთმევთ ჩვენნაირ ხაჭაპურს, ქაბაბს. ჩემი რეცეპტით ამზადებენ სალათებს, ცომეულს. როგორც ვთქვი, ყოველთვის მაინტერესებდა გემრიელი საჭმელების კეთება. ვეძებდი წიგნებში უცნობ რეცეპტებს. ძველი ქართული კერძების მომზადების წესებს. დღეს ძნელია ბაზარში იპოვო უძველესი ქართული კერძების მოსამზადებლად საჭირო ინგრედიენტები, თუმცა ჩვენი რესტორნის სამზარეულო მაინც გამორჩეულია, ჩვენ ორიგინალობის განსაკუთრებულ ხერხებს მივაგენით!

საერთოდაც, ყველა საქმიანობა საინტერესოა, რთულიც, მაგრამ, როცა მენეჯერის თვისებები გაქვს, საქმეს უფრო ადვილად უძლევები. დღესდღეობით ჩვენს კომპანიას 140 თანამშრომელი ჰყავს, მშვენიერი დამოკიდებულება გვაქვს ერთმანეთთან. იურიდიულ და ეკონომიკურ საკითხებს მე ვაგვარებ, ის კი არა, ტექნიკაც შევისწავლე, დანადგარების შემადგენლობაშიც გავერკვიე და მინდა გითხრათ, ქალისთვის არც ისე შეუფერებელია სარესტორნე ბიზნესი (იცინის.). 24 საათის განმავლობაში ჩართული ვარ რესტორნის საქმიანობაში, შემუშავებული მაქვს მუშაობის ჩემი სტილი, როგორც თანამშრომლებთან, ისე სტუმრებთან. რესტორანში თავს მთლიანად მასპინძლად ვგრძნობ. ისე ვუყურებ ნებისმიერს, როგორც საკუთარ ოჯახში შემოსულ სტუმარს. როგორც შენს სახლში, ისე უნდა სცე პატივი უცხოს, ამიტომაც, ვცდილობ, ჩვენგან ყველა ნასიამოვნები წავიდეს. თითოეული აქ შემომსვლელი ჩემთვის კლიენტი არ არის, ის არის ჩემი საკუთარი სტუმარი, რადგან მიმაჩნია, როცა დადებით მუხტს გასცემ, უკანაც დადებითად გიბრუნდება.

„შინაური“ და „უცხო“ სტუმრები

ჩვენთან სტუმრობა ყველას მოსწონს და ერთხელ მოსული ისევ გვეწვევა ხოლმე.

უცხოელი სტუმრები უფრო უშუალოებით გამოირჩევიან, ისინი მზად არიან ღია, გახსნილი ურთიერთობებისთვის. ეს ნორმალურია. ქართველებს, ხანდახან, მადლობის თქმაც ეზარებათ. უცხოელი ათას მადლობას ამბობს და ისე გემშვიდობება.

სტუმრების ქცევის მიხედვით იმ ერზე და ქვეყანაზე გექმნება სრული წარმოდგენა, საიდანაც სტუმრები არიან.

ასე რომ, ამ ხინკლის სახლის წყალობით, უფასოდ ვეცნობი დანარჩენ მსოფლიოს. (იცინის.)

არ ვიცი, ვინ როგორ აღიქვამს ამას, მაგრამ უნდა ვთქვა – რუსი ქალბატონები რადიკალურად განსხვავებულები არიან. ძალიან დახვეწილი, კულტურული, გაწონასწორებული. არავინ წარმოიდგინოს, რომ ბევრს სვამენ, უპატიებლად იქცევიან. არა, ბატონებო, შესანიშნავი მანერებით სვამენ ძვირფას ღვინოს ერთ ან ორ ფუჟერს და არა ისე, როგორც ზოგიერთი ჩვენი ქალბატონი...

ზოგადად, უზრდელ უცხოელს იშვიათად ნახავ.

ინდოელებისგან გამიკვირდა მხოლოდ ერთი რამ: ათი კაცი რომ იჯდეს, აიღებენ ერთ ლუკმას, ჩამოუვლიან და ყველას აკბეჩინებენ. ძალიან ხშირად ხდება ასეთი რამ. არ ვიცი, რას ნიშნავს, ალბათ, რიტუალი აქვთ ასეთი.

პერსპექტივები

ბოლო სამი-ოთხი წელიწადია უამრავი ტურისტი მოდის – რუსები, ევროპელები, ერაყელები, მთელი მსოფლიოს ხალხი. ამიტომ, ვცდილობთ, ჩვენი საქმიანობაც მათი მოთხოვნილებისამებრ განვავითაროთ. ჩემი აზრით, არაა საჭირო, ტურისტს გაპრიალებული, პომპეზური დარბაზები დაახვედრო. ეთნიკური, ფოლკლორული კუთხით უნდა იყო გამორჩეული. ორიგინალური უნდა იყო ტრადიციული შეფერილობით, თუმცა პროგნოზების გაკეთება ძნელია, რა იქნება ხვალ, ზეგ და შემდეგ, როგორი მოთხოვნილებები ექნებათ სტუმრებს, არავინ იცის.

ჯერ კიდევ სამი წლის წინ სულ სხვა სიტუაცია იყო, სხვა მოთხოვნილებები, სხვა სურვილები. ახლა ყველაფერი სხვანაირადაა. დრო ცვლის პრიორიტეტებს.

ჩვენმა კონკურენტმა კომპანიებმაც გაგვიფუჭეს იმიჯი. მეიდანზე რესტორნებში ორი მენიუ ჰქონიათ, ერთი უცხოელებისთვის, ერთი – ქართველებისთვის. საშინლად ყვლეფენ ხალხს. თანაც ძალიან ცუდად ექცევიანო რუსებს. ასეთი დიფერენციაცია არ შეიძლება. ეს არაა საქმისადმი პროფესიონალური მიდგომა.

ჩვენ ვიცით, რომ „ივერიონი – ხინკლის სახლიდან“ წასული სტუმარი აბსოლუტურად კმაყოფილი იქნება, რადგან ყოველდღე სრულიად ჯანსაღ, ახალ პროდუქტს ვიძენთ მუდმივი მწარმოებლებისგან და ვამზადებთ პროფესიონალურ დონეზე. ჩვენი სტუმრები მინიმალური დანახარჯით გემრიელ და ნატურალურ პროდუქტს მიირთმევენ, მშვიდ და სასიამოვნო გარემოში და ერთობიან თავიანთი სურვილის შესაბამისად.

ქველმოქმედება

ყველაზე მეტად მოხუცები და ბავშვები მიყვარს. მოხუცებს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ, როცა შემიძლია და როგორც შემიძლია. ვეხმარებით „კათარზისს“, ყოველდღე ვუგზავნით საჭმელს.

ჩემი დიდი ოჯახი

ჩემი სიცოცხლის ენერგია და წყარო ჩემი 83 წლის დედაა. უსაყვარლესი ადამიანი ჩემი ცხოვრების, კეთილშობილი ქალი. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ბევრ რამეს დღემდე მას ვეკითხები და მისი დალოცვის გარეშე არაფერს ვაკეთებ. მთელ ოჯახს გვლოცავს ხოლმე. ეს ენერგიით მავსებს. დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ ვურეკავ და იქედან თბილი, მშობლის მაკურთხებელი ხმა რომ მესმის, ენერგიით ვივსები.

ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ საკუთარი თავისთვის თითქმის არ მეცალა. მამა ნაადრევად გარდამეცვალა, მერე ერთადერთი დის მეუღლეც და ოჯახი მთლიანად მე დამაწვა მხრებზე...

დღეს დედა, ჩემი და და ჩვენი ზუზუ და გიორგი ერთად ვცხოვრობთ. ზუზუ სტომატოლოგია, გიორგი – იურისტი და ჩემთან მუშაობს. საზღვარგარეთ წასვლას, როგორც ახლა მოდაშია, არც ერთი არ აპირებს. ჩვენ საქართველოში ვაპირებთ ვიცხოვროთ და ჩვენს ქვეყანას გამოვადგეთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. ალექსიძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com